

სარა მაკრამი და ლოტ ჰიუ



# გავშვისაგან ინტერვიუს აღება

ჟურნალისტებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის

სარა მაკრამი და ლოტ ჰიუ

# ბავშვისაგან ინტერვიუს აღება

---

ჟურნალისტებისა და სხვა დაინტერესებული  
პირებისათვის

მეორე, განახლებული გამოცემა

2011

© ორგანიზაცია “გადავარჩინოთ ბავშვები”, 1998 წლის გამოცემა.  
© გაეროს ბავშვთა ფონდი, ქართული თარგმანი, 1998 წელი.

პუბლიკაციაში გამოხატული მოსაზრებანი სრულიად არაა აუცილებელი  
ასახავდეს გაეროს ბავშვთა ფონდის ოფიციალურ თვალსაზრისს.

მარტი, 2011 წელი

## სარჩევი

შესავალი .....	4
ინტერვიუს დაგეგმვა .....	13
ინტერვიუ .....	22
ინტერვიუს დასრულება .....	40
ინტერვიუს შემდეგ .....	44
ბავშვების მიმართ პასუხისმგებლობა .....	46
დამატებითი ლიტერატურა .....	48
გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია .....	49
პრესის მუშაკთა პროფესიული კოდექსი .....	55

## შესავალი მეორე გამოცემისათვის

*„საბავშვო ჟურნალები უფროსების დაწერილია და  
სავსეა სისულელებით“.*

*„გგონიათ, არ ვიცით, რაზე ვლაპარაკობთ, ძალიან  
კარგადაც ვიცით. ვისგან აღარ იღებენ ინტერვიუს,  
ჩვენ კი არავინ არაფერს გვეკითხება“.*

ჩვენი ბუკლეტი, ფირთან ერთად, ბავშვებთან მომუშავე ჟურნალისტების დასახმარებლად გამოიცა, პირველად 1994 წელს. მაგრამ იგი გამოადგება ყველას, - სოცმუშაკს, მასწავლებელს, მწერალს - ვისაც ბავშვისაგან ინტერვიუს აღება სურს. მეორე გამოცემაში ჩვენ მეტი ადგილი დავუთმეთ ეთიკის, კონფიდენციალობის და ფოტოგრაფებთან მუშაობის საკითხებს.

ბავშვებზე საუბრისას მხედველობაში გვყავს ახალგაზრდებიც, თუმცა მათ ხშირად არ ვახსენებთ. ამგვარად, „ბავშვზე“ ან „ბავშვებზე“ საუბრისას ვგულისხმობთ 18 წელზე ნაკლები ასაკის ყველა ადამიანს. „თინეიჯერს“ ურჩევნია უნოდოთ ახალგაზრდა და არა ბავშვი.

მასმედია ბევრ რამეს გვაგებინებს ბავშვების შესახებ. ჟურნალისტს შეუძლია ბავშვის შესახებ ცოდნა გაგვიღრმავოს და მის შინაგან სამყაროში ჩანვდომა გავვიადვილოს. ამავე დროს ჟურნალისტს დიდი პასუხისმგებლობა აკისრია: მან ბავშვი რეალისტურად და ყოველგვარი ცრურწმენის გარეშე უნდა წარმოაჩინოს. თავისთავად ცხადია, რომ ჟურნალისტის მუშაობა და მისი პროდუქციის რაობა დამკვეთის სურვილზე, სიუჟეტზე, ვადებსა და თვით ჟურნალისტის ინდივიდუალობის თავისებურებაზეა დამოკიდებული. უცნაური არ არის, რომ ჟურნალისტს კარგი სიუჟეტი უფრო აინტერესებს, ვიდრე ბავშვის საჭიროებანი. ეს ყველაფერი გვესმის, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ჟურნალისტები მოგვისმენენ და შეძლებისდაგვარად გაითვალისწინებენ ჩვენს რჩევებს.

ჟურნალისტი მუდამ რაღაც ახლის, უჩვეულოსა და საკვირველის ძიებაშია. გვენდეთ, ყოველივე ამას ბავშვებთან საუბრისას აღმოაჩინო. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ თუ დროს გამონახავთ და ბავშვებს ყურადღებით მოუსმენთ, მათ მიერ მოთხრობილი ამბავი უეჭველად გაგაოცებთ. ბავშვებს სამყაროს აბსოლუტურად სხვაგვარი, უფრო ცოცხალი ხედვა აქვთ. მართალია, მათი ალაპარაკება არც ისე იოლი საქმეა, მაგრამ ძალისხმევა ნამდვილად დაგიფასდებათ. ეს ბუკლეტი დაგეხმარებათ ბავშვებთან კომუნიკაციის დამყარებაში.

როდესაც ბავშვს საშუალებას აძლევთ გამოთქვას თავისი მოსაზრება, მას საკუთარი თავის რწმენა და პატივისცემა განუმტკიცდება. მართალია, თუ ბავშვებს ყურადღებით მოვუსმენთ და მასმედიის საშუალებებს ნაწილობრივ მაინც მათ დავუთმობთ, ჩვენს ძალაუფლებაზე გარკვეულწილად უარის თქმა მოგვინევს. მოზრდილ ადამიანებს ჩვევიათ ბავშვების ხმის ჩახშობა. ნებისმიერ ძალაუფლებას განონასწორებისათვის საპირნონე სჭირდება. ამასთან დაკავშირებით უნდა ვაცნობიერებდეთ, რომ აზრის თავისუფლად გამოხატვა უძლიერესი დემოკრატიული აქტია, ხოლო ადამიანის საუბრის მოსმენით მის მიმართ პატივისცემის გამოხატვა შეგვიძლია.

პირველ გამოცემაში გამოყენებული იყო ბარბადოსის, კანადის, ეგვიპტის, ინგლისის, ისრაელის, ნამიბიის, ჩრდილოეთი ირლანდიის, პალესტინისა და რუმინეთის ბავშვების მონაწილეობით ჩატარებული კვლევა, ფირზე აღბეჭდილი იყო მათთან ინტერვიუ, რომელიც ბუკლეტში იყო ციტირებული. ამჯერად ვსარგებლობთ “Save The Children”-ის მიერ დაფინანსებული ორგანიზაციების - ნიუკასლის ბიუროს „ბავშვთა ექსპრესისა“ და „ბავშვების ახალი ამბების სააგენტოს“ მასალებით. ბავშვები გვიზიარებენ მოსაზრებებს მასმედიის შესახებ - რას ელიან მისგან, როგორ უნდა აიღოს ჟურნალისტი მათგან ინტერვიუ.

## რისთვის არის საჭირო ეს ბუკლეტი?

თუმცა გაზეთებში, ჟურნალებსა და ტელევიზორში ბავშვებს ხშირად წარმოაჩენენ და ბევრსაც საუბრობენ მათზე, მაგრამ მათი აზრების უცვლელად დაფიქსირება თითქმის არ ხდება. უფრო ხშირად ჩვენ ვისმენთ იმას, თუ რას ფიქრობენ უფროსები ბავშვებზე და არა იმას, თუ რას ფიქრობენ თვითონ ბავშვები საკუთარ თავზე.

ზოგჯერ აღშფოთებას იწვევს მასმედიის საშუალებების მიერ ადამიანური ტრავმების ან სტიქიური უბედურებების წარმოჩენის სტილი. გვზარავს სურათები: ბავშვი - ომის მსხვერპლი, ბავშვი და სიღარიბე, ბავშვი და ექსპლუატაცია. რას ვხედავთ? - ბავშვების უსიტყვო უბედურებას. ვიცით, რას ფიქრობენ ისინი? ამ კუთხით სიუჟეტი იშვიათად შუქდება. არაერთხელ გავვიგია ბავშვებისაგან, რომ უმძიმეს მდგომარეობაშიც კი მათ შენარჩუნებული აქვთ სამყაროს საკუთარი ხედვა, გრძნობები, ღირსება და სიამაყე. ბავშვებს არ სურთ საცოდავები ჩანდნენ, ამგვარად წარმოჩენა შეუარაცხყოფს მათ, აკნინებს მათ უნარს, საღად აღიქვან არსებული მდგომარეობა. განა ჩვენ იგივეს არ ვიგრძნობდით ამ ბავშვების ადგილას?

ჟურნალისტების გაკრიტიკება იოლი საქმეა, სირთულეების დაძლევადა პრაქტიკული გზის პოვნა და ამ გამოცდილების სხვისთვის გაზიარება კი - ძნელი.

ყველაზე იოლი გზა ბავშვისაგან ინტერვიუს აღებაა. თუ ისეთ საკითხზე მიუშაობთ, რომელიც უშუალოდ ბავშვს ეხება, ნუ დაკმაყოფილებით მხოლოდ უფროსთან საუბრით, ესაუბრეთ თვითონ ბავშვს. ბავშვები კაცობრიობის ნახევარს შეადგენენ და, გვერნმუნეთ, მათ იციან, რა ხდება ქვეყანაზე. მოზრდილი ადამიანი არაერთხელ გაუოცებია ბავშვის ცოდნას, მის შემფოთებას ამა თუ იმ ვითარების გამო.

ბავშვებთან მიუშაობა ძნელ, სულაც სახიფათო საქმედ ითვლება. ხშირად უთქვამთ: ნურც ბავშვებთან იმუშავებთ და ნურც ცხოველებთან. თუ თქვენ ოდესმე გიცდიათ ბავშვისაგან ინტერვიუს აღება, ის კი „დამუნჯდა“ და მტრული განწყობა ან დამცინავი ღიმილი შემოგაგებათ, უთუოდ გაიზიარებთ ამ აზრს. ბუკლეტის მიზანია

გიჩვენოთ, როგორ შეიძლება ბავშვისაგან ინტერვიუს წარმატებით აღება, თუ წინასწარ მოემზადებით და ეცდებით ბავშვს გაუგოთ. ბავშვებთან მუშაობა საოცარი გამოცდილებაა, რომელიც შთაგაგონებთ და იმედით აგავსებთ. ჩვენი მიზანია გიჩვენოთ ბავშვებთან წარმატებით მუშაობის გზა.

### **ამოსავალი წერტილი:**

- მოუსმინეთ ბავშვებს, რომლებიც რადიოს ან ტელევიზიის ახალ ამბებში გამოდიან.
- დაუფიქრდით, როგორ იყენებენ მათ. სცადეთ გამოიცნოთ, რას ფიქრობენ ან რას გრძნობენ ისინი.
- გაითვალისწინეთ, რომ ერთია, როდესაც ბავშვების შესახებ უფროსები საუბრობენ და სულ სხვაა, როდესაც ბავშვები საკუთარ თავზე თვითონ ლაპარაკობენ.

### **რას ავარიდოთ თავი**

მასმედიას ახასიათებს ბავშვების მოსალოდნელ, ჩვეულ კონტექსტში წარმოჩენა. უფროსებს ბავშვებთან დაკავშირებული რამდენიმე სტერეოტიპი აქვთ, რომლითაც ხშირად იწონებენ თავს და პრობლემებსაც ამ სტერეოტიპებით არიდებენ თავს. მართალია, ზოგი სტერეოტიპი დროდადრო მისაღებია, მაგრამ მათი სისტემატური გამოყენება ბავშვების შესახებ არაადეკვატური წარმოდგენის ჩამოყალიბებას იწვევს. სტერეოტიპი ადვილად გვამახსოვრდება და მისი მოცილება იოლი არ არის.

ბავშვებმა არაერთხელ შემოგვიჩვილეს, რომ მათ ტელეხატებს მათთან არაფერი აქვთ საერთო. ხშირად უთქვამთ, რომ მშობლები ბავშვების შესახებ მომზადებულ სატელევიზიო გადაცემებს უფრო უგდებენ ყურს, ვიდრე საკუთარ შვილებს. ბავშვებს კი გული წყდებათ!

გეცნობათ ეს სტერეოტიპი? - ბავშვი, ერთი მხრივ, ანგელოზია, მიამიტი, წამებული სული, მეორე მხრივ, სასტიკი, ავი, უტიფარი,



აბეზარი, შფოთისთავი, სამართალდამრღვევი. სიტყვა „ახალგაზრდა“ უფრო ხშირად უარყოფით კონტექსტში გამოიყენება და უბედურების სინონიმი გახდა. შავკანიანი ახალგაზრდები აღშფოთებული არიან, რომ მათ მხოლოდ უარყოფით კონტექსტში აჩვენებენ. არც უნარშეზღუდულ ბავშვებს მოსწონთ, მათ საცოდავებად ან გონჯებად რომ წარმოსახვენ, სიუჟეტი კი ყოველთვის „ტრაგედიაზე გამარჯვებით“ სრულდება.

ჩვენ დავინტერესდით, რას ფიქრობდნენ ბავშვები მასმედიის სიუჟეტებზე. აი, როგორი იყო მათი პასუხი:

### **ბავშვებს არ მოსწონთ**

- როდესაც მათი სერიოზული კომენტარი მედიაში უფროსების გასართობ ხუმრობად გაიჟღერებს. რაც უფროსისთვის სასაცილოა, ბავშვისთვის შეიძლება ტრაგედია იყოს.
- როდესაც „საყვარელი“ ბავშვის ხატი მასალის მიმზიდველობის გასაძლიერებლად გამოიყენება.
- როდესაც ფოტო თუ ვიდეომასალა ბავშვს დამთრგუნველ სიტუაციაში გვიჩვენებს იმ ერთადერთი მიზნით, რომ მკითხველს თვალზე ცრემლი მოადგეს, იმის მაგივრად, რომ ბავშვის მიმართ პატივისცემის გრძნობა გააღვივოს, ან ბავშვს აღუძრას თავისი თავის მიმართ პატივისცემის გრძნობა.
- როდესაც ბავშვების მიმართ მფარველობით ან ფამილარულ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ.
- როდესაც უფროსები ისეთ საკითხებზე საუბრობენ, რომლებიც ბავშვებს უკეთესად ესმით.
- როდესაც ბავშვებს აიძულებენ ცირკის ცხოველებივით ითამაშონ.
- როდესაც უფროსები ბავშვის სისუსტეებით ტრაბახობენ.
- როდესაც ბავშვებს დაუბპირებულ ფრაზებს ათქმევინებენ ან ლაპარაკს აწყვეტინებენ.

- როდესაც მათ პასიურ არსებებად სახავენ, მაშინ, როცა ეს ასე არ არის.
- როდესაც ყველა ახალგაზრდა ერთ პრობლემურ ჯგუფად, „ახალგაზრდობად“ აღიქმება.

## რა სურთ ბავშვებს?

ბავშვებს სურთ, რომ მათ პატივისცემითა და გაგებით ეკიდებოდნენ. რადგან ისინი ჯერ კიდევ პატარები არიან, ხშირად განსაკუთრებული დახმარება და დაცვა სჭირდებათ. მაგრამ ისინი ადამიანთა განსხვავებულ სახეობას არ განეკუთვნებიან, ამიტომ მათ ისეთივე რეაქციები აქვთ, როგორც ჩვენ - უფროსებს.

- *წარმოიდგინეთ თქვენი თავი მათ ადგილას და საკუთარ თავს კითხეთ: როგორ გსურთ, რომ მოგეპყრონ?*

ბავშვებს სურთ, რომ თქვენ

- საშუალება მისცეთ საკუთარ თავზე უფროსების ჩარევის გარეშე ისაუბრონ.
- მათ ისე მოეპყროთ, როგორც ტოლი ტოლს, ანუ ისე, როგორც სხვა ნებისმიერ ადამიანს.
- კითხვით, რას ფიქრობენ ისინი იმ პუბლიკაციებზე, რომლებიც მასმედიაში ჩნდება.
- მისცეთ საშუალება თავისუფლად ესაუბრონ ბავშვებს და უფროსებს.
- მოეპყროთ როგორც პიროვნებებს, რომელთაც საკუთარი აზრი, მონოღება და ნუხილი აქვთ.
- დააფასოთ მათი გამოცდილება. მცირე ასაკის მიუხედავად მათ ცხოვრებაზე ბევრი რამ იციან.
- ნება მისცეთ იყვნენ ისეთები, როგორებიც არიან და არა ისეთები, როგორებიც სხვებს სურთ იყვნენ.
- სერიოზულად აღიქვათ მათი შეხედულებები.

## როგორ მოვეუწყობოთ ბავშვებს

ინტერვიუს უმთავრესი ელემენტი მოსმენაა, მოსმენა და არა გაგონება. ყური დაუგდეთ, რას ამბობენ, რას ფიქრობენ ბავშვები. ბავშვს საინტერესო სათქმელი შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ თუ მსმენელი არ ჰყავს, კედელს ხომ არ ელაპარაკება? ბავშვებს მსმენელი სჭირდებათ, ამიტომ თუ თვლიან, რომ თქვენ მათ არ უსმენთ, არც არაფერს მოგიტხრობენ. რაც უფრო ყურადღებით უსმენთ, მით უფრო წარმატებით შეძლებთ მათთან მუშაობას.

იცით, რამდენჯერ უთქვამს ბავშვს: „პირველად არის, რომ ვილა-ცას ჩემი აზრი აინტერესებს.“ აი, კიდევ ერთი ციტატა, ათი წლის ჩრდილოირლანდიელი ჭკვიანი ბიჭუნას საუბრიდან: „არავისთვის მითქვამს, რას ფიქრობ ბელფასტში ბრძოლების შესახებ. ჩემი აზრით, ეს ცუდია, მაგრამ ბავშვს ყურს ვინ დაუგდებს.“ რატომ არავინ მისცა მას თავისი აზრის გამოხატვის შესაძლებლობა?

## საკუთარ თავს შეეკითხეთ

- კარგი მსმენელი ხართ? ინტერვიუს აღების დროს რა უფრო გაინტერესებთ - რესპოდენტები რას გეტყვიან, თუ თქვენ რა შეკითხვას დაუსვამთ და რა რეაქცია გექნებათ?
- ყურის გდება გიყვართ, თუ საუბრის შეწყვეტინება მეტ სიამოვნებას განიჭებთ?
- ბავშვებთან ყოფნა გსიამოვნებთ?
- შეგიძლიათ სერიოზულად მოეკიდოთ ბავშვს, მის შეხედულებებს და გრძნობებს?
- შეგიძლიათ შეეკითხოთ ბავშვებს, რაიმე სხვა საქმის კეთება ხომ არ ურჩევენიათ?
- შეგიძლიათ შეშფოთების გარეშე აღიაროთ, რომ ბავშვებმა რაღაც თქვენზე მეტი იციან?
- შეგიძლიათ აღიაროთ, რომ თქვენი წინასწარ შემუშავებული

შეხედულება ბავშვთან საუბრის შემდეგ შეიძლება თავდაყირა დადგეს?

თუ თქვენ დარწმუნებული არ ხართ თქვენს შესაძლებლობებში, გაიხსენეთ ბავშვობა. სერიოზულად აღგიქვამდნენ უფროსები? რა შეგრძნება გქონდათ, როდესაც სერიოზულად გისმენდნენ? უფროსების გარემოცვაში როდის გრძნობდით თავს თავისუფლად?

თავიდანვე შეაფასეთ თქვენი ძლიერი და სუსტი მხარეები, რომელთაც ბავშვებთან თქვენს ურთიერთობაზე სერიოზული გავლენის მოხდენა შეუძლია და რომელთაც ისინი უმალვე გრძნობენ.

## რატომ უნდა ავიღოთ ინტერვიუ ბავშვებისაგან?

- ბავშვებს გულის გადმოშლა სურთ.
- ბავშვებს შეუძლიათ საინტერესო და ახალი ინფორმაციით მობარაგონ.
- ბავშვებს მოზრდილი ადამიანებისაგან განსხვავებული ხედვა აქვთ.
- ისეთი თემები, როგორცაა განათლება, თამაში, აგრესიული ურთიერთდამოკიდებულებანი, ბავშვებისათვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე უფროსებისთვის. ამიტომ ჟურნალისტები უნდა დაინტერესდნენ, რას ფიქრობენ ამ თემებზე ბავშვები.
- ბავშვების მოსმენა აუმჯობესებს ბავშვებსა და უფროსებს შორის ურთიერთგაგებას და ამცირებს თაობათა შორის უფსკრულს. ძალიან ხშირად უფროსები და ახალგაზრდები იმით ტანჯავენ ერთმანეთს, რომ არ საუბრობენ.
- საუბარი, მოსმენა თვითრწმენას უძლიერებს ბავშვებს და ხელს უწყობს მათ პიროვნებად ჩამოყალიბებას.
- მედიის მომხმარებელთა შორის ბავშვებიც არიან. მათ აინტერესებთ, რას ამბობენ და გრძნობენ მათი თანატოლები.

პუბლიკაციებში ბავშვების წარმომჩენით ჟურნალისტებს შეუძლიათ თავიანთი აუდიტორია გააფართოონ.

- ბავშვებს აქვთ უფლება, რომ მათ მოუსმინონ, მათი აზრი გაითვალისწინონ, რომ მასმედიაში გამოსატონ საკუთარი მოსაზრებები. ყველა ეს პრინციპი გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.
- გვერნმუნეთ, ბავშვებისაგან ბევრ რამეს ისწავლით.

## ინტერვიუს დაგეგმვა

*„უფროსები ფიქრობენ, რომ პოლიტიკასა და მსგავს საკითხებში ჩვენ არაფერი გავგეგვება. თუ რაღაცის თქმას დააპირებ, მაშინვე გაჩერებენ - „კარგი რა, ჩუმად იყავი, შენ რა იცი!“*

სანამ ინტერვიუს აიღებთ, მოემზადეთ. ნუ ნახვალთ ინტერვიუზე წინასწარ ჩამოყალიბებული აზრით, ნუ ფიქრობთ: „ამას ამდენი დრო დასჭირდება.“ დროს ნუ შემოფარგლავთ.

თუ გაქვთ შესაძლებლობა, წინასწარ მოიკვლიეთ ინფორმაცია ბავშვის შესახებ; მათ არ უყვართ სტუმარი, რომელიც უაზრო შეკითხვებს სვამს. თუ მოზრდილი ადამიანისგან ინტერვიუს აღების წინ კვლევას ატარებთ, იგივე მეთოდი ბავშვთან ურთიერთობისას რატომ არ უნდა გამოიყენოთ?

## ბავშვებისგან კონსულტაციის მიღება

ბავშვებსაც მიაღებინეთ მონაწილეობა სტატიის ან სატელევიზიო გადაცემის მომზადებაში, კვლევის ან დაკვირვების ჩატარებაში. ისინი დაგეხმარებიან გაიგოთ, რა საკითხებია მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, რა კატეგორიის ბავშვებთან კონტაქტის დამყარება გიჯობთ საქმისათვის, სად შეიძლება ასეთი ბავშვების პოვნა, რა დროს და სხვ. ეს ხომ ის მეთოდია, რომლითაც მოზრდილ ადამიანებთან მუშაობისას სარგებლობთ, მაგრამ როცა საქმე ბავშვებს ეხებათ, მათ შესახებ აზრს რატომღაც მოზრდილებს ეკითხებით.

## საკითხის შერჩევა

ბავშვებს მარტო ესტრადა, მოდა, თამაში და გართობა არ აინტერესებთ. გაცდებით მათი ინტერესების სიფართოვით და სიღ-

რმით. უფროსების მსგავსად, ბავშვები ისეთ საკითხებზე საუბრობენ კარგად, რომელიც მათ აინტერესებთ. ამიტომ თქვენი გეგმები ბავშვის ინტერესს უნდა შეუსაბამოთ.

## **ვის ვესაუბროთ, ცალკეულ ბავშვს თუ ჯგუფს?**

თუ ბავშვის კონკრეტულ გამოცდილებაზე საუბარი არ გსურთ, უმჯობესია ბავშვებს ჯგუფურად ესაუბროთ. ბავშვები იმდენად მიჩვეული არიან უფროსების კონტროლს, იმის კეთებას, რასაც უფროსები კარნახობენ, რომ თქვენთან განცალკევებით საუბრისას ბავშვი შეიძლება დაფრთხეს, რადგან არ იცის, რა უნდა უცხო ადამიანს მისგან. მას დიდი დრო სჭირდება, რომ დამშვიდდეს და გული გადაგიხსნათ. მეგობრებისა თუ თანაკლასელების გარემოცვაში ბავშვი თავს უფრო თავისუფლად გრძნობს. თუ თამამ მოსაუბრეს ცოტათი შეზღუდავთ, მორცხვი ბავშვები უფრო ადვილად ისაუბრებენ, ერთმანეთს წააქეზებენ, თქვენს საქმეს თვითონ გააკეთებენ.

გამართლებულად გვესახება ოთხი-ექვსი ბავშვისგან შემდგარ ჯგუფთან მუშაობა. თუ ბავშვების რაოდენობა მეტია, ყველას არ ექნება ლაპარაკის საშუალება, ან გაგიჭირდებათ იმისათვის თვალის მიდევნება, ვინ რა თქვა, მითუმეტეს, თუ რამდენიმე ბავშვი ერთად ლაპარაკობს.

გაითვალისწინეთ ბავშვების ასაკი. უმცროსი ასაკის ბავშვები ვერ გაბედავენ უფროსი ასაკის ბავშვების თანდასწრებით ლაპარაკს. ამიტომ, თუ ამის საშუალება არის, უმჯობესია ჯგუფში მეტნაკლებად ერთი ასაკის ბავშვები, ზოგჯერ კი ერთი სქესის ბავშვები იყვნენ.

ზოგი ბავშვი მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიხსნება, თუ ცალკე დაე-ლაპარაკებით, რადგან მას ან ვინმესი ეშინია, ან არ ენდობა სხვა ბავშვებსა და უფროსებს. კითხეთ მათ, რა სურთ, შეუქმენით მათთვის სასურველი გარემო. გარდა ამისა, უნდა გაითვალისწინოთ სხვა მომენტებიც, რათა ბავშვებმა თავი შებოჭილად არ იგრძნონ. მაგალითად, ინგლისში ბავშვებს აფრთხილებენ, უცხოს არ დაე-

ლაპარაკონ. მათ შეიძლება ოთახში თქვენთან ერთად ჩაკეცვა არ მოინდომონ. ფრთხილად იყავით, თქვენი ქცევა არასწორად არ გაიგონ (იხილეთ - *ბავშვებთან მუშაობის ეთიკა და სივრცის შერჩევა.*)

## როგორ შევარჩიოთ ბავშვები?

ყველა ბავშვს აქვს უფლება თავისი აზრი ხმამაღლა გამოხატოს. მაგრამ მასმედიაში, როგორც წესი, ან პრივილიგირებულ, ზენიჭიერ, ან არაპრივილიგირებულ, ტანჯულ ბავშვებზე საუბრობენ. ასეთი ცალმხრიობა მორალურად გაუმართლებელია და პრაქტიკულადაც წამგებიანია, რადგან ყველაზე შესანიშნავ და არაორდინარულ მასალას სწორედ ჩვეულებრივი ბავშვები მოგაწვდიან.

შეძლებისდაგვარად დაიცავით თანაფარდობა გოგონებსა და ბიჭებს, თეთრ და შავკანიან (ან სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის), უნარშეზღუდულ და ჯანმრთელ, სხვადასხვა კლასისა და კასტის ბავშვებს შორის (ამგვარ შეპირისპირებათა ჩამოთვლა უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს). თავისთავად ცხადია, რომ რომელიმე კონკრეტულ უბანში, სადაც თქვენ დაკვირვებას ატარებთ, ბავშვთა ყველა კატეგორია ვერ იქნება წარმოდგენილი.

ეს მიდგომა პოლიტიკური მოტივებით კი არ არის ნაკარნახევი, არამედ იმის გაცნობიერებით, რომ თუ რომელიმე კატეგორია გამოგრჩებათ, ამის გამო შეიძლება საინტერესო სიუჟეტიც დაკარგოთ. ხოლო თუ შერეულ ჯგუფს შექმნით, საუბარი ცოცხლად წარიმართება და ბავშვებს შორის კამათი მრავალ ერთმანეთისგან განსხვავებულ აზრს წარმოშობს. აუცილებლად გაითვალისწინეთ ბავშვების ასაკი. უმცროსი ასაკის ბავშვებსაც აქვთ საინტერესო ამბავი მოსაყოლი, მაგრამ მათ მეტი დრო სჭირდებათ აზრის ჩამოსაყალიბებლად. მოთმინება იქონიეთ 10 წლამდე ასაკის ბავშვებთან მუშაობისას.

თუ ერთი კონკრეტული ამბის ან მოვლენის გაშუქება გსურთ, ის ბავშვები მონახეთ, რომლებიც ამ მოვლენის უშუალო მონაწილენი იყვნენ.



## სად ვიპოვოთ ისინი?

მიმართეთ ახალგაზრდების რაიონული კლუბებს, რელიგიურ წრეებს, ბავშვთა ცენტრებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს. ესაუბრეთ ადგილობრივ კორესპონდენტებს, მშობლებს, მასწავლებლებს და ახალგაზრდებთან მომუშავე სხვა ადამიანებს. სკოლა ერთ-ერთი ის ადგილია, სადაც ბავშვებს შეგიძლიათ ესაუბროთ, მაგრამ არც სკოლის მოსწავლეთა გამომწვევი ქცევა გაგიკვირდეთ.

## ტრადიციების გათვალისწინება

არამარტო ბავშვებთან, არამედ მშობლებთან, სკოლასთან და სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობისას უნდა გაითვალისწინოთ ადგილობრივი კულტურული ტრადიციები და წესები. ბევრ ქვეყანაში ბავშვისაგან ინტერვიუს აღებამდე ოფიციალური ნებართვის აღება დაგჭირდებათ მშობლების, სკოლის და განათლების სამინისტროსგანაც კი. სანამ საქმეს შეუდგებოდეთ, გაარკვიეთ ეს საკითხი. ნუ ჩათვლით, რომ შეგიძლიათ ქუჩაში შემხვედრი ბავშვი გააჩეროთ და მისგან ინტერვიუ აიღოთ.

## ნებართვის აღება

ვიდრე ინტერვიუს აიღებდეთ, უნდა გაითვალისწინოთ კონფიდენციალობის დაცვის საკითხები, ბავშვის ნებასურვილი და უფლებები, ასევე მშობლის ან მეურვის მოთხოვნები. პრიორიტეტი ენიჭება ბავშვის ნებას და მის ინტერესებს, რადგან ბავშვებს აზრის გამოთქმის უფლება აქვთ, ხოლო უფროსებს მათი გაჩუმების უფლება - არა.

ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ მაშინ დგება, როდესაც სახელმწიფოს მეურვეობის ქვეშ მყოფ მცირეწლოვან ბავშვებთან გვსურს საუბარი. არის შემთხვევები, როდესაც ბავშვები ქუჩაში ცხოვრობენ, მაგრამ ოფიციალურად მაინც სახელმწიფოს მეურვეობის ქვეშ მყოფებად ითვლებიან. ხელმძღვანელობას შეუძლია

მათთან საუბრის უფლება არ მოგცეთ, ისევე როგორც არასრულწლოვან პატიმრებთან ან ჯარისკაცებთან საუბრის უფლება. გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობის მიხედვით, 18 წელზე ნაკლები ასაკის ახალგაზრდას რომ ესაუბროთ, ნებართვა ადგილობრივი ხელისუფლებისაგან უნდა მიიღოთ. პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ 16 წელზე ნაკლები ასაკის ახალგაზრდებთან საუბრისათვის კი ნებართვას მშობლის ან მეურვისაგან იღებთ.

მაგრამ ჩვენ მაინც გირჩევთ ბავშვს კითხოთ, რა სურს. უნდა თქვენთან საუბარი? წინააღმდეგი ხომ არ იქნება, რომ მისი სიტყვების ციტირება მოახდინოთ? აუხსენით, რა შედეგი შეიძლება ამას მოყვეს. ეს საკმაოდ რთულია იმ საზოგადოებაში, სადაც ბავშვები მასმედიას არ იცნობენ. მაგრამ, როგორც წესი, ბავშვებს კარგად ესმით ყველაფერი და თუ მათ არ სურთ თქვენთან საუბარი, თავისუფლად ამბობენ უარს. თავს ნუ მოახვევთ ბავშვს თქვენს სურვილს, თავისი სიტყვების ციტირებაზე თანხმობა მოგცეთ.

გამოცდილებით ვიცით, რომ უფროსები (ეს განსაკუთრებით ოფიციალურ მუშაკებს ეხებათ) ცდილობენ ბავშვებს არ შეგახვედრონ, ვინაიდან არ იციან, რას იტყვიან ისინი, ან როგორ წარმოაჩენენ მათ. უარს ხშირად იმით ხსნიან, რომ ბავშვები სუსტი არსებები არიან და მათ დაცვა, უფრო სწორად, მფარველობა სჭირდებათ. ადრე ქალების მიმართაც ასეთივე დამოკიდებულება იყო დამკვიდრებული.

## ბავშვებთან მუშაობის ეთიკა

თუკი ბავშვებთან მომუშავე საქველმოქმედო და განვითარების ორგანიზაციის წარმომადგენლები ვართ, მკაცრი განაწესის შესაბამისად გვინევს საქმიანობის წარმართვა. იგი მოიცავს საკითხის გაშუქებას, კონფიდენციალობას, ბავშვთა დაცვას. ყოველივე ამის შესახებ ცნობილი უნდა იყოს ჟურნალისტებისათვის და, საერთოდ, ყველასათვის, ვინც ბავშვებისაგან ინტერვიუს იღებს.

როდესაც პროფესიონალი ბავშვთან იმ მიზნით ამყარებს კონტაქტს, რომ მასზე სიუჟეტი მოამზადოს, ფოტო გადაუღოს ან

მისგან ინფორმაცია მიიღოს, მან თავის მიზანთან შედარებით უპირატესობა ბავშვის ინტერესებს უნდა მიანიჭოს.

ბავშვის სიცოცხლე საფრთხეში არ უნდა ჩააგდოს, არ უნდა შექმნათ იმის წინაპირობა, რომ მის მიმართ ძალადობა განხორციელდეს ან მას ექსპლუატაცია გაუწიონ.

ბავშვის მიმართ ძალადობის საკითხი მრავალ მომენტს მოიცავს, რომლებიც ამ საკითხზე მომუშავე ადამიანების თვალთახედვის არეში მუდმივად არის მოქცეული. ყველას გვაკისრია პასუხისმგებლობა, დავიცვათ ბავშვი ნებისმიერი ძალადობისაგან.

ბავშვთან ცალკე მუშაობის მეთოდით საუკეთესო სიუჟეტები მზადდება, მაგრამ ეს მეთოდი ბავშვს საფრთხეში აგდებს, რაც არ უნდა დაგავიწყდეთ. ხოლო თუ ხედავთ, რომ ბავშვის სიცოცხლეს ან მის კეთილდღეობას საფრთხე ემუქრება, მიიღეთ სათანადო ზომები.

## **თავი შეიკავეთ იარღიის მინებებისაგან**

ფრთხილად იყავით ბავშვების სიუჟეტში წარმოდგენილას. იმუნოვირუსით დაავადებული ან სექს-ინდუსტრიაში მომუშავე ბავშვი განსაკუთრებით მწვავედ რეაგირებს მის მიმართ გამოყენებულ განსაზღვრებებზე. არასწორად შერჩეულ სიტყვებს იმ ადამიანების უარყოფითი გამოძახილი მოყვება, რომლებიც ამ ბავშვს იცნობენ.

მაგალითად, პროსტიტუტ ბავშვს არ სურს მას პროსტიტუტი უწოდონ, ურჩევნია მოიხსენიონ როგორც სექს-ინდუსტრიის მუშაკი. გოგონა, რომელიც ჯარისკაცებმა სქესობრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გაიტაცეს, მოითხოვს მას „ცოლი“ უწოდონ. ძალადობის გადამტან ბავშვს ურჩევნია გადარჩენილი უწოდონ და არა მსხვერპლი. ევფემიზმზე თქვენი შეხედულება შეგიძლიათ გქონდეთ, მაგრამ ბავშვის სურვილს პატივი უნდა სცეთ. თუ ისეთ ტერმინოლოგიას გამოიყენებთ ბავშვის მიმართ, რომელიც მას თქვენს მიმართ მტრულად განაწყობს, ვერაფერს მოიგებთ. მაგალითად, სექს-ინდუსტრიაში მომუშავე ბავშვებმა ტაილანდში Save

The Children-ის წარმომადგენელს უთხრეს, რომ ისინი თავს პროსტიტუტებს არ უწოდებენ. ამ სიტყვას საზოგადოების სხვა ფენების წარმომადგენლები იყენებენ, თვითონ კი თავის საქმიანობას ასე აღწერენ - „სტუმრების მოპატიჟება“ ან „უცხოელების გამოსაჭერად წასვლა“.

## დრო

ბავშვებთან მუშაობისას დროს ნუ შემოფარგლავთ. ბავშვების ნდობა რომ მოიპოვოთ, ინტერვიუს დაწყებამდე დროა საჭირო. ინტერვიუს დასრულების შემდეგ ბავშვებს უცბად ნუ გამოეთხოვეთ, მათ თავს უხერხულად ნუ აგრძნობინებთ.

თუ ბავშვებთან აპირებთ მუშაობას, ჩათვალეთ, რომ ერთი საათით მეტი დრო დაგჭირდებათ, ვიდრე მასწავლებლებთან, მშობლებთან და სხვა მოზრდილ ადამიანებთან მუშაობისას. უკეთესია დრო დაგრჩეთ, ვიდრე დაგაკლდეთ. თუ ბავშვებთან სამუშაოდ მხოლოდ 15 წუთი გაქვთ, ერთ ან ორ შეკითხვაზე მეტს ნუ დასვამთ, ან ბლიცინტერვიუსათვის ბავშვები წინასწარ მოამზადეთ.

## მოსამზადებელი ვიზიტი

თუ გსურთ, რომ ინტერვიუ კარგი გამოგივიდეთ, ბავშვები ერთხელ მაინც მოინახულეთ წინასწარ. თქვენ მათ უკეთ გაიცნობთ და, რაც კიდეც უფრო მნიშვნელოვანია, ისინი გაგიცნობენ უკეთ. ბავშვები უცხო ადამიანებს უფრთხიან, ამიტომ მათი ნდობა რომ დაიმსახუროთ, დროა საჭირო.

მოსამზადებელი ვიზიტი არამარტო ბავშვების გაცნობაში დაგეხმარებათ, არამედ დაანახებს მათ, რომ თქვენ ნამდვილად გაინტერესებთ ისინი და მათი აზრი. თუ ინტერვიუს დროს რაიმე ტექნიკის, დიქტოფონის ან კამერის გამოყენებას აპირებთ, მოსამზადებელი ვიზიტის დროს კარგი შანსი გექვსათ აუხსნათ ბავშვებს, როგორ მუშაობს ტექნიკა ან რისთვის გჭირდებათ იგი.

## სკოლებში მუშაობა

ინტერვიუსთვის ბავშვების მოძებნა ყველაზე იოლად სკოლაში შეიძლება, მაგრამ აქ ბევრი რამ უნდა გაითვალისწინოთ.

უპირველესად ეს ბავშვების დაცვის საკითხია. სკოლასთან წინასწარ კონსულტაციები უნდა ჩაატაროთ. თუმცა შეგიძლიათ უამისოდაც აიღოთ ინტერვიუ ბავშვებისაგან, მაგრამ თქვენი ნასვლის შემდეგ მათ შეიძლება პრობლემები შეექმნათ. ამიტომ პირდაპირ ბავშვებთან მისვლა გაუმართლებელია. თავდაპირველად შეხვდით დირექტორს, შეუთანხმეთ თქვენი განრიგი მის და მისი თანამშრომლების განრიგს. ინგლისში, როგორც წესი, მასწავლებლები თავიანთ განრიგს ნახევარი, ზოგჯერ ერთი წლით ადრე ადგენენ, რის გამოც მისი შეცვალა რთულია. ამიტომ მიზანშეწონილია ამ პრობლემის მოსაგვარებლად სკოლას წინასწარ დაუკავშირდეთ.

უმჯობესია რამდენიმე სკოლასთან იმუშაოთ, ვინაიდან ერთ სკოლაში შეიძლება ბავშვების ყველა ფენის წარმომადგენელი არ იყოს. ზოგი ბავშვი შეიძლება საერთოდ არ დადიოდეს სკოლაში. ზოგ სკოლაში ძირითადად შეძლებული ოჯახების შვილები სწავლობენ, ზოგში - ღარიბი ოჯახების შვილები. ქალაქის და სოფლის სკოლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ზოგ სკოლაში რომელიმე ერთი ეროვნების ბავშვები უფრო მეტნი არიან.

ძალიან ხშირად მუშაობა ერთსა და იმავე სკოლაში ტარდება ხოლმე ერთი უბრალო მიზეზის გამო - ის ან ახლოსაა, ან აქ უკვე აქვთ ამგვარი მუშაობის გამოცდილება.

ბავშვებს უჭირთ მასწავლებლის თანდასწრებით თავისუფლად საუბარი. თუ ბავშვებს თვითონ არ სურთ მასწავლებლის დასწრება, ეცადეთ შეხვედრა მის გარეშე შედგეს. თუ ტრადიციების შესაბამისად საუბარს სხვა უფროსი აუცილებლად უნდა ესწრებოდეს, ბავშვს მიეცით არჩევანის უფლება.

გასათვალისწინებელია სკოლის, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა დაწესებულების, ზრუნვა საკუთარ პრესტიჟზე. მასწავლებლები ამაცობენ თავიანთი სკოლით და თუ ბავშვების შერჩევას მათ ვთხოვთ, ისინი იმ ბავშვებს მოგიყვანენ, რომლებიც სკოლის

შესახებ მხოლოდ პოზიტურად ისაუბრებენ. ყველაზე ცოცხალი ბავშვები კი, როგორც წესი, კარგი აკადემიური მოსწრებით ან ყოფაქცევით არ გამოირჩევიან.

არ დაგავინყდეთ უკუკავშირის განხორციელების აუცილებლობა. გამოქვეყნებული სტატია, ასევე გადაღებული ფოტოების ასლები სკოლას გაუგზავნეთ. სკოლა მონადინებულია ისტორიას შემოუნახოს მასალები, გამოფინოს ისინი ან საკლასო მუშაობაში გამოიყენოს. თქვენი ვიზიტი, ისევე როგორც ამ ვიზიტის შედეგი, გაკვეთილზე სასაუბრო საინტერესო თემად შეიძლება იქცეს.

## ინტარვიუსი

*„ადგილობრივი რადიოსადგურიდან ქალმა დამირეკა. საუბრის ბოლოს მითხრა, გმადლობთ ინტერვიუსათვისო. ვერც მივხვდი, რომ ინტერვიუს იღებდა.“*

*„მკვეთრი ტონით და განელილად ნუ გველაპარაკებით, ნურც ისეთ რამეს გვეტყვიით, რასაც ვერ გავიგებთ.“*

იმის მიხედვით, თუ როგორ ეპყრობით ბავშვებს და როგორ უკეთებთ ორგანიზებას ინტერვიუს, ეს ბავშვები ხვდებიან, რა გსურთ მათგან. თუ აგრძნობინებთ, რომ ისინი მნიშვნელოვანი ადამიანები არიან თქვენთვის და მიგაჩნიათ, რომ მათ საინტერესო რამის თქმა შეუძლიათ, ყველაფერს გააკეთებენ, რათა იმედი არ გაგიცრუვდეთ. ხოლო თუ აგრძნობინებთ, რომ სერიოზულად არ აღიქვამთ მათ და პატარებად თვლით, რომელთაც არაფერი მნიშვნელოვანი არ შეუძლიათ თქვან, იმედს არც ამ შემთხვევაში გაგიცრუებენ და შესაბამისად მოიქცევიან. დათმეთ თქვენი უპირატესობა, უჩვენეთ ბავშვებს, რომ თქვენც გაქვთ სუსტი წერტილები - ეს მათთან დაგაახლოებთ.

- გაიხსენეთ, თქვენ თვითონ როგორ გრძნობთ თავს, როდესაც უფროსი ზემოდან დაგყურებთ.
- რა გრძნობა გიჩნდებათ, როდესაც უფროსებს თქვენი მოსაზრება აინტერესებთ, მას სერიოზულად ეკიდებიან? რა გავლენას ახდენს ეს თქვენს ქცევაზე?

ბავშვებიც იგივეს გრძნობენ. თუ პატივისცემით მოეპყრობით, სანაზღაუროს აუცილებლად მიიღებთ.

## ადგილის შერჩევა

ინტერვიუს ჩასატარებელი ადგილის ფართო არჩევანი შეიძლება არ გქონდეთ, მაგრამ ყოველთვის მნიშვნელოვანია ბავშვებისათვის ისეთი პირობების შექმნა, რომ მათ თავი თავისუფლად იგრძნონ. გარემო ბავშვს არ უნდა აფრთხობდეს, ამიტომ არც საკლასო ოთახია მისაღები და არც მითუმეტეს დირექტორის კაბინეტი. სასაუბროდ მცირე სივრცეც საკმარისია. თუ კარგი ამინდია, გარეთ შეგიძლიათ დასხდეთ. თქვენთვისაც და ბავშვებისთვისაც უკეთესი იქნება, თუ გამვლელ-გამომვლელი ყურადღებას არ გიფანტავთ. მყუდრო ადგილი მოძებნეთ.

შეძლებისდაგვარად ეცადეთ მუდამ ბავშვის ხედვის არეში რჩებოდეთ, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მას ცალკე ესაუბრებით. თუ შეხვედრა შენობაში მიმდინარეობს, კარი ღია დატოვეთ. თუ გარეთ ხართ, სადმე ხის ჩრდილში მოძებნეთ ადგილი, საიდანაც სხვები ადვილად დაგინახავენ, მაგრამ არც იმდენად ახლოს იქნებით მათთან, რომ თქვენი საუბარი გაიგონონ. ეს ბავშვის უსაფრთხოების დაცვასაც ემსახურება.

თუ ამის შესაძლებლობა არსებობს, ეცადეთ საუბარი ისეთ გარემოში წარმართოთ, რომელიც თქვენი საუბრის კონტექსტს ეხმიანება. მაგალითად, სკოლის ბაღის შესახებ ამ ბაღში ისაუბრეთ. საუბარი ქუჩაში მცხვრები ბავშვების თემაზე სწორედ ქუჩაში გამართეთ.

მიეცით საშუალება ბავშვს, ადგილი თვითონ აირჩიოს, მაგრამ ეს ადგილი თქვენს მოთხოვნილებასაც უნდა აკმაყოფილებდეს. ბავშვმა უნდა იცოდეს, მაგალითად, რატომ გიშლით ხელს ხმაური.

## მხოლოდ ბავშვები?

თუ სხვა ადამიანებს სურთ საუბარს დაესწრონ და ეს მათი ტრადიციებით არ არის განპირობებული, სთხოვეთ მათ დაგტოვონ. უფროსები, განსაკუთრებით ისინი, ვინც შეჩვეულია ბავშვის კონტროლს, აწყვეტინებენ ან კარნახობენ მას. მასწავლებლები თავს ვერ იკავებენ შენიშვნების მიცემისაგან, სოციალურ მუშაკს



შეუძლია თქვას, რომ რასაც ბავშვი ამბობს, მისი წარმოსახვის ნაყოფია, ან სულაც ტყუილია. თავშეკავებით აუხსენით, რომ თქვენ ბავშვის თვალთ დანახული სინამდვილე გაინტერესებთ, ხოლო დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მათ მოგვიანებით ესაუბრებით.

თუმცა ზოგიერთ ბავშვს ურჩევნია საუბრისას გვერდით ჰყავდეს ისეთი ადამიანი, რომელსაც ენდობა (მაგალითად, ახალგაზრდების საქმეებზე სპეციალიზებული სოციალური მუშაკი), მითუმეტეს, თუ გრძნობს, რომ თქვენს შორის გარკვეული ურთიერთგაგება არსებობს. ბავშვებთან განცალკევებით საუბარი მათი დაცვის საკითხებს აღძრავს (იხ. *ბავშვებთან მუშაობის ეთიკა* და *ადგილის შერჩევა*).

## მოხერხებულად სხედხართ?

დაჯექით ისე, როგორც ბავშვები სხედან. თქვენთვის საუკეთესო და დიდ სკამს ნუ აარჩევთ. თუ ბავშვები იატაკზე ან მიწაზე სხედან, მათ გვერდით მიუჯექით. ჯგუფთან მუშაობისას წრე გააკეთეთ. აჯობებს, თუ ყურადღების ცენტრში არ იქნებით, მაგრამ ამავე დროს ყველა ბავშვს კარგად დაინახავთ.

წესების ენა ფრთხილად გამოიყენეთ. საუბრისას ბავშვებს თვალელებში უყურეთ, თუ, რა თქმა უნდა, ტრადიცია ამის უფლებას გაძლევთ. ბავშვები თავს კარგად გრძნობენ, როცა თანამოსაუბრის შესტიკულაცია ისეთივეა, როგორიც მათი, მაგრამ არ უნდა შეგამჩნიონ, რომ მათ ბაძავთ.

## ტექნიკა

იმის მიხედვით, რადიოში მუშაობთ თუ ტელევიზიაში, სხვადასხვა ტექნიკა დაგჭირდებათ, რაც ინტერვიუს ალების თავისებურებას განაპირობებს. თუ ბავშვისაგან სერიოზული ინფორმაციის მიღებას აპირებთ, მაქსიმალურად შეზღუდეთ ტექნიკის გამოყენება. როცა, მაგალითად, კადრის ხელმეორედ გადაღება გასურთ, აუხ-

სენით, რას და რატომ აკეთებთ. თქვენი სამუშაო ჯგუფის ყველა წევრი თქვენსავით უნდა მოიქცეს. გარდა ამისა, ბავშვებისათვის ტექნიკასთან ურთიერთობას შემეცნებითი მნიშვნელობაც შეიძლება ჰქონდეს.

## კულტურული თავისებურებები

ზოგიერთი კულტურა ბავშვებს ქცევის კონკრეტულ ნორმებს უწესებს, მათგან უფროსების მიმართ პატივისცემის გამოხატვას მოითხოვს. გაითვალისწინეთ ეს და ნურც ბავშვებს ჩააგდებთ უხერხულ მდგომარეობაში, ნურც მშობლებს შეურაცხყოფთ. ზოგჯერ მიზანშეწონილია წინასწარ კითხვით ბავშვებს, რა პირობებში უნდათ ინტერვიუს ჩატარება. ინტერვიუ განსაკუთრებით ეფექტური გამოდის, თუ ბავშვები გრძნობენ, რომ უფროსები მათ თანატოლებივით ეპყრობიან და მათ აზრს პატივს სცემენ. ხოლო თუ ნებართვის გარეშე საუბრის უფლება არ აქვთ, ან თუ ზემოთ ყურება უხდებათ, რათა თქვენ დაგინახონ, ბავშვები თავისუფლად ვეღარ საუბრობენ.

## გაცნობა

საკუთარი თავის წარდგენაზე დროს ნუ დაზოგავთ. მარტივად და ნათლად აუხსენით, ვინ ხართ, რას აკეთებთ და რატომ. ურიგო არ იქნება, თუ გაზეთს ან ჟურნალს მიუტანთ, სადაც თქვენი სტატია დაბეჭდილი, რათა ბავშვებმა ნახონ, რას აკეთებთ და როგორ შეიძლება გამოიყენოთ მათგან აღებული ინტერვიუ.

ოპერატორს შეუძლია მის მიერ გადაღებული რამდენიმე ფოტოსურათი მოიტანოს. როდესაც ამერიკელი ფოტოგრაფი ელი რიდი შავე ტჰე ჩჰილდრენ-ის ფარგლებში სამხრეთ აფრიკაში გაემგზავრა, თან თავისი წიგნი „შავკანიანები ამერიკაში“ წაიღო. ბავშვებთან ამ სურათებზე მსჯელობამ, მათთვის იმის ახსნამ, თუ რა იმალებოდა თითოეული ფოტოს მიღმა, ფოტოგრაფსა და ბავშვებს შორის სიუცხოვის ყინული გააღწია.

ბავშვებს სთხოვეთ, ყველამ ცალ-ცალკე წარმოგიდგინოთ თავი. ეს მათ საკუთარი თავისადმი რწმენას განუმტკიცებს.

## „საზღვრების დადგენა“

ბავშვებს აუხსენით, რას აკეთებთ და რატომ, მათგან რა გსურთ, რა წესები უნდა დაიცვან. მაგალითად, უნდა განუმარტოთ, რომ ერთმანეთს ლაპარაკი არ უნდა გაანწყვეტინონ, მოსაუბრეს ყურადღებით უნდა მოუსმინონ. პირდაპირ უთხარით, რა გსურთ და ბავშვებიც თავს უფრო თავისუფლად იგრძნობენ და გაუგებრობისათვის ადგილი აღარ დარჩება. კითხეთ, რამე ხომ არ ინტერესებთ, ყველაფერი ნათელია თუ არა მათთვის? ზოგჯერ ისეთი რამ შეიძლება გკითხონ, რაც თქვენს კონკრეტულ საქმიანობას სულ არ ეხება, მაგრამ მაინც ყურადღებით მოუსმინეთ.

ბავშვებს აინტერესებთ მასმედია. ამიტომ უსაფუძვლო იმედებიც შეიძლება გაუჩნდეთ, რასაც იმედგაცურება მოყვება. აუხსენით, როგორ შეიძლება მასალა გამოიყენოთ, ან სავარაუდოდ რა სახე ექნება საბოლოო პროდუქტს.

## კონფიდენციალობა და ანონიმურობა

კონფიდენციალობას ბავშვებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. შეეკითხეთ, რას ფიქრობენ მათი ვინაობის გახმაურებაზე. თუ ყოყმანობენ, მხოლოდ ბავშვის სახელი გამოიყენეთ, ან ისიც გამოიგონეთ. ზოგჯერ უფროსებმა არც ვიცით, რა საფრთხეში ვაგდებთ ბავშვებს, როდესაც ისინი ჩვენი თხოვნით თითქოსდა უწყინარ აზრს გამოთქვამენ.

ანონიმურობას თუ დაიცავთ, ბავშვები ბევრ რამეს ხალისით მოგიყვებიან.

თუმცა ზოგი ბავშვი არც მალავს ვინაობას. ჟურნალისტებს და სოც-მუშაკებს ხშირად სჩვევიათ ბავშვის მხოლოდ სახელით მოხსენიება (გვარის გაგებით თავს არ ინუხებენ), რაც მფარველობით ტონს

აძლევს სიუჟეტს, ბავშვებს კი ეს არ მოსწონთ. ზოგი თეთრკანიანი დღესაც მხოლოდ სახელით მოიხსენიებს შავკანიანებს (მაგალითად, მებაღე ჯიმი ან მზარეული გლედისი) და ამით, ნებით თუ უნებლიეთ, მათ ღირსებას აკნინებს.

თუ ფოტოგრაფთან ერთად მუშაობთ, ბავშვებს კითხეთ, სურთ თუ არა, რომ ფოტოები გადაუღონ და შემდეგ გამოაქვეყნონ. ნუ გგონიათ, რომ ამის კითხვა აუცილებელი არ არის. სურთ, რომ მათი ვინაობა ტიტრებში აღნიშნული იყოს? თუ ეს შესაძლებელია, აუცილებლად აუხსენით, რა კონტექსტში აპირებთ ფოტოების გამოყენებას.

ბავშვის უსაფრთხოება მხედველობიდან არასდროს გამოგრჩეთ. მაშინაც კი, თუ ბავშვებს სურთ სურათის გადაღება, შეიძლება მათი ვინაობის შეცვლა დაგჭირდეთ - მაგალითად, თუ ისინი არასრულწლოვანები არიან, დევნას გაურბიან ან რაიმე სხვა მიზეზით არიან იძულებული ვინაობა დამალონ.

ასეთი ბავშვები გადაიღეთ ისე, რომ მათი სახე ჩრდილში მოექცეს, ანდა ნაჭრით ან ხელებით იყოს დაფარული.

ზოგჯერ თქვენ ვერ შეძლებთ აბსოლუტური კონფიდენციალობის უზრუნველყოფას. თუ ბავშვი გაგიმხელთ, რომ მის მიმართ ძალადობა განხორციელდა ან ასეთი რამ განზრახული აქვთ, ვალდებული ხართ ამის შესახებ პოლიციას ან სოციალურ სამსახურს შეატყობინოთ. ჩვენ მაინც გირჩევთ ამ შემთხვევაშიც სცადოთ ბავშვისაგან თანხმობის მიღება - ჯობს მან იცოდეს, რომ თქვენ პოლიციისათვის ამბის შეტყობინებას აპირებთ. თუ ინტერვიუს მსვლელობის დროს ზედაპირზე რაიმე სერიოზული და სახიფათო ამბავი ამოტივტივდა, აუხსენით ბავშვს, რა შეიძლება მოხდეს ამ ამბის გამოაშკარავების შემთხვევაში. ბავშვებთან მაქსიმალურად გულწრფელი იყავით (იხ. *პირადული საკითხები*).

## გაიცანით ერთმანეთი

ინტერვიუ ბავშვებს აფრთხობს, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ თავიდან ისინი ნერვიულობენ. ბავშვებმა თავი თავისუფლად რომ იგრძნონ, გაიცანით ისინი და თქვენი თავიც წარუდგინეთ. როგორ

შეიძლება ამის გაკეთება? ბავშვები ერთმანეთისგან განსხვავდებიან, ასევე განსხვავდება მათთან დაახლოების ხერხებიც, მაგრამ ამისათვის ნებისმიერ შემთხვევაში გარკვეული დროა საჭირო.

უპირველეს ყოვლისა, გვერდზე გადადეთ ბლოკნოტი, დიქტოფონი ან სხვა ტექნიკა. თქვენ თვითონაც გათავისუფლდით და ეცადეთ ყურადღებით მოისმინოთ ბავშვის ნაამბობი, ჩანანერის გაკეთებაზე ნუ იფიქრებთ. სიტუაციას განმუხტავს მათთან ერთად თამაში, სიმღერა ან ცეკვა. ურიგო არ იქნება, თუ ბავშვებს მათი ცხოვრების ამსახველ სურათებს დაახატინებთ.

ბავშვებს ნურაფერს დააძალებთ, იყავით გულდია და თავი ბუნებრივად დაიჭირეთ. ბავშვები ადვილად ხვდებიან, როდის არის უფროსი არაგულწრფელი და თუ მათი ნდობა არ დაიმსახურეთ, გულს არ გადაგიხსნიან. თუ არ იცით, რა თქვათ ან გააკეთოთ, ნუ მოგერიდებათ, ბავშვებს შეეკითხეთ. ისინი სიამოვნებით დაგეხმარებიან. ნუ დაუმაღავთ, რომ მათსავით უხერხულად და უმწეოდ გრძნობთ თავს.

თუ ტექნიკის გამოყენებას აპირებთ, უჩვენეთ ბავშვებს, როგორ მუშაობს ის და რისთვის გჭირდებათ. თუ ამის შესაძლებლობა არსებობს, თვითონ სცადონ მიკროფონით მუშაობა. გაახედეთ კამერაში, ან უჩვენეთ, როგორ აკეთებთ სტენოგრამას. კარგი იქნება, თუ ტექნიკას მოსამზადებელი ვიზიტის დროს მოსინჯავთ, ამის შემდეგ ინტერვიუს ალება აღარ გაგიჭირდებათ.

## ლექსიკა

ბავშვებისათვის გასაგებ ენაზე ისაუბრეთ. როცა რაიმეს ხსნით, მარტივი ლექსიკა გამოიყენეთ. თუ არ იცით, როგორი ლექსიკაა გასაგები ხუთი ან ცამეტი წლის ბავშვებისათვის, ყური დაუგდეთ, როგორ ლაპარაკობენ ისინი. თუ საჭირო გახდა, ბავშვებთან მომუშავე ადამიანებს დაუკავშირდით და რჩევა კითხეთ. დააკვირდით, გაიგეს ბავშვებმა თქვენი ნათქვამი? თუ არასწორად გაიგეს, ახლა სხვანაირად თქვით სათქმელი. განმარტების ერთი და იმავე ფორმით რამდენჯერმე გამეორებას შედეგი არ მოყვება.

ეცადეთ მაშინაც კი გაუგოთ, როდესაც თვითონაც არ იცინან, როგორ გამოთქვან, რაც გულში უდევთ. დიდ დახმარებას გაგინევთ თქვენივე გულწრფელი დაინტერესება. თუ მაინც არ გესმით, რას ამბობენ, კიდევ შეეკითხეთ: „აბა, კიდევ ერთხელ ამიხსენი?“ ან „რა საინტერესოა. კიდევ რა მოხდა?“ ან „ამით რა გინდოდა გეთქვა?“

- დაყვირებით გაუჩუმებიხართ? რა გიგრძენიათ ამ დროს?
- რას გრძნობთ, როცა თქვენთვის გაუგებარ ჟარგონზე გელაპარაკებიან? როგორ შეიძლება ამის თავიდან არიდება?
- ვინმესთან საუბრის დროს როგორ ხვდებით, გაგიგოთ თუ არა თანამოსაუბრემ? (დააკვირდით ამას სხვა დროს, უცხოთთან საუბრისას)

## ინტერვიუს დაწყება

ინტერვიუს წარმართვის ჩვეულებრივი ტექნიკა ხშირად ბავშვებთან გამოუსადეგარია. პირდაპირი კითხვების დასმისას ისინი ან საკუთარ ნაჭუჭში იკეტებიან, ან იმას ამბობენ, რასაც მათგან სხვები მოელიან, ხოლო საკუთარ ფიქრებს არ ამხელენ.

ბავშვებს შეკითხვებს მუდამ უსვამენ მშობლები და მასწავლებლები. უფროსები მათგან თითქმის ყოველთვის „სწორ“ პასუხს მოელოებიან. ბავშვებმაც იციან, რომელი პასუხია „სწორი“. თუ გინდათ ბავშვმა გული გადაგიხსნათ, აუხსენით, რომ სწორი ან არასწორი პასუხი არ არსებობს.

თავიდან ბავშვები უხერხულად გრძნობენ თავს, „სწორი“ პასუხის ძებნაში თავგზა ებნევათ (განსაკუთრებით მაშინ, თუ მასწავლებელი, სოცმუშაკი ან ვინმე სხვა ესწრება ინტერვიუს. სწორედ ამიტომ ჯობს, რომ ისინი ინტერვიუს არ დაესწონ). მოთმინებით აუხსენით, რომ ინტერვიუს დროს არც მათ ცოდნას ამომწებთ და არც ნიშანს უწერთ, თქვენ უბრალოდ გაინტერესებთ, რას ფიქრობენ ისინი ამა თუ იმ საკითხის შესახებ. ბავშვები ადვილად ხვდებიან, გულისყურით უსმენენ თუ არა უფროსები და აინტერესებთ თუ არა მათი აზრები.

ბავშვები უკეთ გაიხსნებიან, თუ მათ აგრძნობინებთ, რომ დამოუკიდებელი არიან, რომ ინტერვიუს პროცესში ისინი უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, ვიდრე თქვენ. მას შემდეგ, რაც ბავშვები თავისუფლად დაიწყებენ ლაპარაკს, თქვენ შეძლებთ საუბარს თქვენთვის სასურველი მიმართულება მისცით.

ჯგუფთან მუშაობისას ეცადეთ, რომ ბავშვებმა ერთმანეთთან ისაუბრონ. თუ მათ დროს მისცემთ, რათა ერთად განიხილონ ესა თუ ის საკითხი და თქვენს გულწრფელ დაინტერესებას დაანახებთ, ბავშვები ისეთ ღრმა ინფორმაციას მოგაწვდიან, როგორსაც ფორმალური შეკითხვების დასმით ვერასდროს მოიპოვებთ.

ნუ აიძულებთ ბავშვს პასუხი გაგცეთ, თუ მას ეს არ სურს. შეიძლება ბავშვი თქვენთან იძულებით მოხვდა, ან დამფრთხალია, ან მორცხვობს, ან სულაც ჰგონია, რომ საინტერესოს ვერაფერს გეტყვით. შეიძლება ის დუმილით თავს იცავდეს.

## კონკრეტულ მოვლენაზე საუბარი

თუ ბავშვთან კონკრეტულ საკითხზე ან იმის შესახებ გსურთ საუბარი, რაც მან თვითონ ჩაიდინა, უმჯობესია დაიწყოთ ასე: „აბა, რა მოხდა შენი აზრით?“ კითხვები ღია უნდა იყოს. მაგალითად: „რა იგრძენი, ეს რომ მოხდა?“ თუ დახურულ შეკითხვებს დასვამთ, მხოლოდ მოკლე და უინტერესო პასუხებს მიიღებთ.

## თემის შესწავლა

ბავშვებთან, განსაკუთრებით მცირეწლოვან ბავშვებთან საუბარი რომ აენიშოს, უფრო მეტი დროა საჭირო, ვიდრე უფროსებთან მუშაობისას. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე რჩევა.

- დაუსვით კითხვა თქვენთვის საინტერესო თემასთან დაკავშირებით (მაგალითად, „მომიყვი, როგორ ჩავარდი საფრთხეში?“).
- უჩვენეთ თემასთან დაკავშირებული სურათები, რომელთა შესახებაც მათ რაღაცის თქმა შეუძლიათ.

- მცირეწლოვან ბავშვებს სთხოვეთ დახატონ სურათი და შემდეგ გაიმზონ, რა დახატეს.
- მოუყევით ამბავი თქვენს შესახებ (სასურველია, ამბავი სასაცილო იყოს, ან თქვენი ცხოვრების ისეთ ეპიზოდს წარმოაჩინდეს, რომლიც კარგად არ გახასიათებთ - მაგალითად, როგორ შევაშინათ პატარა ძაღლმა). ისინი ჯერ შეკითხვებს დაგისვამენ, ხოლო შემდეგ საკუთარ ისტორიას გაიმბობენ.
- რაიმე უჩვეულო აზრი გამოთქვით და განუმარტეთ ბავშვებს, რომ არ არის აუცილებელი მათაც გაიზიარონ თქვენი მოსაზრება. მაგალითად: „არ მესმის, სპილოს გადარჩენას რა აზრი აქვს? ხომ ვერ ამიხსნით, ბავშვებს რატომ უნდათ მისი გადარჩენა ასე ძალიან?“

## ბავშვების მიერ შემოთავაზებული თემები

ზოგჯერ ამართლებს ზოგადი საუბარი, რადგან თემებს ბავშვები თვითონ გთავაზობენ. ამას კარგი შედეგი მოაქვს.

აი, როგორ შეიძლება დაიწყოთ ასეთ შემთხვევაში:

- „როგორ ფიქრობთ, უფროსები ხშირად გისმენენ ყურადღებით? ნამდვილად ესმით მათ თქვენი?“ ამ თემაზე ზოგადი საუბრის შემდეგ კონკრეტულ საკითხებზე ბავშვები თვითონ გადადიან.
- „გინახავთ ტელევიზიით გამოსული ბავშვები, ან რადიოში მოგისმენიათ მათთვის? მიიღებდი მონაწილეობას ასეთ გადაცემაში? რას ეტყობი ხალხს?“
- „გქონია ისეთი შემთხვევა, როდესაც რაღაცის თქმა გსურს, მაგრამ არ გისმენენ? უფრო დანვრილებით ხომ არ მომიყვებოდი ამის შესახებ?“
- ზოგადი საუბრის ეტაპზე დააფიქსირეთ მომენტები, როდესაც ბავშვები რაღაც საკითხზე საუბრის სურვილს ავლენენ. მოგვიანებით დაუსვით შეკითხვები ამგვარ თემებზე, უყურადღებოდ ნუ დატოვებთ მათ.



## კითხვების დასმა

დასმული შეკითხვა მაქსიმალურად ღია და ერთმნიშვნელოვანი უნდა იყოს. მაქსიმალური თავისუფლება მიეცით ბავშვებს, რათა თქვან, რაც სურთ; ეცადეთ თქვენმა შეხედულებამ არ დათრგუნოს ბავშვის აზრი.

ჯგუფთან კონკრეტულ თემაზე მუშაობისას შეკითხვებს ბავშვებიც დასვამენ. წაახალისეთ ისინი, რათა ეს პროცესი უფრო გააქტიურდეს. ბავშვები იმდენად პირდაპირ და მწვავე შეკითხვებს სვამენ ხოლმე, რომ ბევრს უჭირს მათზე პასუხის გაცემა, მაგრამ სამაგიეროდ ისინი ნათლად ამჟღავნებენ ბავშვის ხედვას.

თუ ბავშვი გაუბედავია, ამართლებს დახურული შეკითხვების დასმა, რომელთაც ღია შეკითხვა მოყვება. მაგალითად: „ბავშვი ცელქობისათვის უნდა დაისაჯოს?“ „არა“. „რატომ?“

ნუ გაანწყვეტინებთ, მათ შეიძლება მოეჩვენოთ, რომ „სწორ“ პასუხს არ იძლევიან. გააკეთეთ პაუზა, ხოლო შემდეგ დასაზუსტებელი კითხვა დაუსვით.

## წახალისება

მას შემდეგ, რაც ბავშვები საუბარს დაიწყებენ, თავი კომფორტულად რომ იგრძნონ, წაახალისეთ, აგრძნობინეთ, რომ საქმე კარგად მიდის.

თუ მოხდა ისე, რომ ბავშვი სულ სხვა თემაზე აგზნებით საუბრობს, ნუ გაანწყვეტინებთ, რადგან ის ცდილობს მტკივნეულ საკითხზე საუბარი შემოვლითი გზით დაიწყოს. მართალია, რედაქტორი სულ სხვა რამეს ელოდება და არც თქვენს კვლევას შემატებს ეს უცხო თემა რამეს, მაგრამ სამაგიეროდ მომავლი პროექტის იდეას მოიხველთ, უკვე კარგად გეცოდინებათ, რა აღლევებთ ბავშვებს.

თუ ინტერვიუ კარგად არ მიმდინარეობს და ბავშვები საუბრის სურვილს არ გამოხატავენ, მათ ან დასმული საკითხი ვერ გაიგეს, ან არ სურთ ინტერვიუში მონაწილეობა. კეთილგანწყობილად

კითხვით, როგორ სურთ ინტერვიუ ჩატარდეს. თუ საუბარი არ უნდათ, პატივი ეცით მათ სურვილს.

## პირადული საკითხი

პირადულ საკითხებზე საუბრისას - მაგ., ძალადობა და, კერძოდ, სექსუალური ძალადობა, დამცირება სკოლაში, რასიზმი, ოჯახური პრობლემები, ქუჩაში ცხოვრება - დიდი ტაქტი გჭირდებათ. ცხადია, რომ თუ ძალიან ზედაპირულად არ საუბრობთ, ბავშვებს ლაპარაკი სწორედ მტკივნეულ პირადულ საკითხებზე უხდებათ, არადა, რატომ უნდა გადაუხსნან გული უცნობს? მეორე მხრივ კი, მათ სურთ მსგავს მდგომარეობაში ჩავარდნილ სხვა ბავშვებს დაეხმარონ. ზოგიერთი ბავშვისათვის უცხოვართან საუბარი უფრო იოლია, იმ პირობით, თუ ის მათ ნდობას იმსახურებს.

ყველაფერს ჯობს, თუ ბავშვები საუბრის თემატიკას თვითონ განსაზღვრავენ, ინტერვიუს ჩასატარებელ ადგილს და საუბრის ტონს თვითონ გთავაზობენ, თქვენ კი ყურადღებით უსმენთ და შექებით ამხნევებთ. თუ ასე არ მოხდა, მტკივნეულ საკითხზე საუბარს პირდაპირ ნუ დაიწყებთ. ნუ ეტყვიან: „აბა, ერთი მითხარი, როგორ იყო შენზე ძალა რომ იხმარეს?“ ამის მაგივრად თქვენი აზრი ასე ჩამოაყალიბეთ: „ვგრძნობ, რომ ბევრი რამ გადაიტანე, მაგრამ გაუძელი. ხომ ვერ მომიყვებოდით, როგორ მოხდა ეს?“

როცა საქმე პირადულ საკითხებს ეხება, სიჩქარე არ ამართლებს. მოჩქარეს მოუგვიანდესო, ხომ გაგიგონიათ. ნურც ბავშვებს და ნურც საკუთარ თავს ტრავმას ნუ მიაყენებთ. როდესაც ბავშვი ტკივილს სხვას გაუზიარებს, გულზე მოეშვება, ხოლო ჩვენი ყურადღება და თანაგრძნობა იმის მაჩვენებელი იქნება, რომ პატივს ვცემთ მის განცდებს, გვესმის მისი სატკივარი.

თავიდანვე უნდა აუხსნათ ბავშვს, როგორ იქნება მასალა გამოყენებული. საჭიროების შემთხვევაში, ბავშვთან ერთად განიხილეთ, რა შედეგი შეიძლება ამას მოყვეს. მაგ.: თუ „ყოჩი“ იცნობს თავის მსხვერპლს, თანახმაა რესპოდენტი, რომ მასალა გამოქვეყნდეს? იმგვარი სოციალური ბავშვისათვის, სადაც მასმედია და წიგნს

ნაკლებად იცნობენ, ეს საკითხი განსაკუთრებით მტკივნეულია.

ზოგჯერ ბავშვის სურვილის გათვალისწინებით მოგინევთ სიუჟეტიდან საინტერესო ნაწილის ამოღება. ისევე როგორც უფროსებს, ბავშვებსაც აქვთ უფლება საუბრის რაღაც ნაწილი არ ჩაგანერინონ. პატივი ეცით ბავშვის სურვილს. თუ შეატყობთ, რომ თავს უხერხულად გრძნობს და ამა თუ იმ თემაზე საუბრის გაგრძელება არ სურს, მაგრამ ვერ ამხელს, ენდეთ ინტუიციას და შეწყვიტეთ საუბარი. ნუ დაელოდებით, სანამ ბავშვი თვითონ მოგთხოვთ ამას. ბავშვს გულდანყვეტილს ან გაბრაზებულს ნუ დატოვებთ (იხილეთ - *ინტერვიუს დასრულება*).

ბავშვი მაშინაც შეიძლება დათრგუნული იყოს, როდესაც თქვენ ამის მიზეზს ვერ ხედავთ. ნუ გაგაკვირვებთ ეს და ადეკვატურად იმოქმედეთ.

გაითვალისწინეთ ეთიკური მომენტებიც (იხ. *კონფიდენციალობა და ანონიმურობა*).

## **ნუ ეწინააღმდეგებით იმას, რომ ბავშვი აზრს იცვლის**

ბავშვების უმრავლესობა არ არის მიჩვეული, რომ მათ ყურს უგდებენ, ან მათ მოსაზრებებს ითვალისწინებენ. ამიტომ საუბრისას უჭირთ საკუთარი აზრის გამოხატვა.

ზოგჯერ საკუთარ თავს ეწინააღმდეგებიან, იტყუებიან ან ფანტაზიორობენ. განა უფროსებიც ასე არ იქცევიან? უნდა გახსოვდეთ, რომ ზოგჯერ ბავშვი იძულებულია ეს გააკეთოს. ნუ დაატანთ ძალას, რათა „სიმართლე“ გითხრათ, შეკითხვებით მიიყვანეთ სიმართლემდე. ამ დროს უფროსების დასწრება სასურველი არ არის. აქ სიუჟეტის განვითარების ქრონოლოგიური თანმიმდევრობა ან ფაქტების სიზუსტე იმდენად არსებითი არ არის, რამდენადაც ბავშვის ხედვა. ყური დაუგდეთ, რას ამბობენ ისინი - სიურპრიზი გარანტირებული გაქვთ.

- *მოხვედრილხართ ისეთ სიტუაციაში, როდესაც არ გსურდათ სრული სიმართლის თქმა?*

- გქონიათ შემთხვევა, როდესაც ვითომდა სხვისი ამბის მოყოლით საკუთარი ამბავი მოგიყოლიათ? რას განიცდიდით ამ დროს? შეგიძლიათ ბავშვს მსგავს შემთხვევაში გაუგოთ?

## პრობლემები?

ბავშვები, თუ მათ პატივისცემით ეპყრობით, იშვიათად იქცევიან ცუდად. მაგალითად, ქუჩის ბავშვები, რომლებიც გამვლელ ტურისტებს უხეშად ექცევიან, როცა თავისთავისადმი პატივისცემას იგრძნობენ, სრულიად იცვლებიან.

მაგრამ ზოგჯერ მათი ცხოვრების თქვენთვის უცნობი ფაქტები ახდენს ზეგავლენას მათ ქცევაზე, ისინი ცქმუტვას იწყებენ და აზრებს თავს ვერ უყრიან. ასე უფროსებსაც ემართებათ. არა აქვს მნიშვნელობა, რა იწვევს ამას, ნუ ეცდებით მათ „მორჯულებას“, არაფერი გამოგივათ.

თუ რაიმე მიზეზის გამო ინტერვიუ კარგი არ გამოდის, შეწყვიტეთ იგი, მაგრამ ბავშვებს ნუ აგრძნობინებთ, რომ ვერ გაართვეს თავი მათზე დაკისრებულ საქმეს. შეიძლება სხვა აქტივობაზე გადახვიდეთ, ვთქვათ, ბავშვებს ხატვა შესთავაზოთ, ისინი ხომ ხშირად ნახატებით უკეთესად ამბობენ სათქმელს. ან მათ მიერ დაწერილი ამბავი ნაიკითხეთ, რათა დრო უქმად არ დახარჯოთ.

თუ ამ დროს პრობლემები გაგიჩნდათ, თავი ბავშვების ადგილას წარმოიდგინეთ და შეეცადეთ პასუხი გასცეთ კითხვას, რატომ გართულდა საქმე.

- ეს თქვენი მიზეზით ხომ არ მოხდა? დალლილი ხომ არ იყავით, ან სხვა საფიქრალი ხომ არ გქონდათ, ან იქნებ ბავშვის ისტორია ნაკლებად გაინტერესებდათ?
- უმართავი ხომ არ გახდა სიტუაცია? რა დაასკვნით?
- სხვა შემთხვევაში სხვანაირად ხომ არ მოიქცეოდით? როგორ?

## თარჯიმნთან ერთად მუშაობა

სამწუხაროდ, ხშირად ბავშვის სიტყვები თარჯიმნის მიერ იფილტრება. როდესაც თარჯიმნის დახმარებით სარგებლობთ, რამდენიმე მომენტი უნდა გაითვალისწინოთ. თუ თარჯიმნის მოძებნა იმ ქვეყნის მოქალაქეებს აკისრიათ, სადაც ინტერვიუს ჩატარებას აპირებთ, მათ წინასწარ უნდა შეატყობინოთ, რა გსურთ. წინააღმდეგ შემთხვევაში იმედგაცრუება გელით.

- ნუ შეარჩევთ გავლენიან პირს, მაგალითად, სკოლის მასწავლებელს. თუ ამას ვერ აერიდებით, შეარჩიეთ ისეთი პირი, რომელსაც მუშაობის ავტორიტარული სტილი არ ახასიათებს და ბავშვებს არ დააფრთხობს.
- განსაზღვრეთ, კონკრეტულ სიტუაციას, თემას, ბავშვთა კონკრეტულ კონტინგენტთან მუშაობას ვინ უფრო გაართმევს თავს - მამაკაცი თუ ქალი.
- თუ თარჯიმნად ბავშვის შერჩევა შეიძლება, ეს ყველაფერს ჯობს.
- შეიძლება ორზე მეტი ენის მცოდნე თარჯიმანი დაგჭირდეთ. მაგალითად, ზოგიერთ ყოფილ კოლონიაში სახელმწიფო ენა ფრანგული ან პორტუგალიურია, ხოლო სოფლად ამ ენებზე არავენ საუბრობს. ამიტომ ისეთი თარჯიმანი დაგჭირდებათ, რომელმაც ადგილობრივი ენაც იცის.
- ინტერვიუს ალებისას უმჯობესია, თუ თარჯიმნობას ისეთი პირი გაგინევთ, ვინც ადგილობრივ ბავშვებს იცნობს და არა, მაგალითად, დედაქალაქიდან ჩამოყვანილი თარჯიმანი. გარდა ამისა, სოფლებსა და ქალაქელებს შორის გარკვეული განსხვავება არსებობს, რაც დაძაბულობას იწვევს. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ადგილობრივი მკვიდრის დასწრებამ ინტერვიუზე შეიძლება ხელი შეუშალოს თავისუფალი და გულითადი ატმოსფეროს შექმნას.
- უშუალოდ მუშაობის დაწყებამდე შეხვდით თარჯიმანს, აუხსენით, რომ პირველ პირში უნდა თარგმნოს და არა მესამე პირში. მაგალითად: „მე“ ან „ჩვენ“ და არა „ის ამბობს, რომ...“. ასევე გააფრთხილეთ, რომ ბავშვებს აზრის გამოხატვისათვის საკმარისი დრო უნდა მისცეს.

თარჯიმანმა თავიდანვე უნდა იცოდეს, რომ შეულამაზებული სიმართლის გაგება გსურთ. ზოგჯერ თარჯიმანი ცდილობს მოვლენების მხოლოდ დადებითი მხარე გიჩვენოთ, განსაკუთრებით მაშინ, თუ საუბარი მისი ინტერესების სფეროს ეხება (მაგალითად, სკოლას ან დახმარების პროექტს). მან შეიძლება ისე შეკვეცონ ბავშვის სიტყვები, რომ აზრი აღარ აღიქმებოდეს. თუ ამის თაობაზე ეჭვი გაგიჩნდათ, მშვიდად, მაგრამ მტკიცედ მოსთხოვეთ, რომ ბავშვის საუბარი სიტყვასიტყვით გითარგმნოთ. თუ საჭიროა, შეკითხვა ხელმეორედ დასვით.

ბუკლეტში მოცემული ბევრი რჩევა თარჯიმნისათვისაც ისევე სასარგებლო იქნება, როგორც ინტერვიუერისათვის. თარჯიმანიც ისევე დელიკატურად უნდა მოექცეს ბავშვებს, როგორც თქვენ. ურიგო არ იქნება, თუ თარჯიმანი ამ ბუკლეტს გაეცნობა, განსაკუთრებით შემდეგ ნაწილებს: *გაცნობა, გაიცანით ერთმანეთი, „საზღვრების დადგენა“, ნუ ეწინააღმდეგებით იმას, რომ ბავშვი აზრს იცვლის.*

## ფოტოგრაფთან მუშაობა

ჟურნალისტებთან ერთად ხშირად ფოტოგრაფებიც არიან ხოლმე. ამასთან დაკავშირებითაც მთელი რიგი საკითხებია გასათვალისწინებელი:

- ისეთი ფოტოგრაფი შეარჩიეთ, ვისაც ბავშვები უყვარს და მათთან ურთიერთობა შეუძლია.
- წინასწარ გააცანით სამუშაოს სპეციფიკა, წააკითხეთ ამ ბუკლეტის ის ნაწილები, რომელიც, თქვენი აზრით, მისთვის საგულსხმო იქნება.
- უთხარით, რომ ბავშვებთან მუშაობა მეტ დროს მოითხოვს, ვიდრე უფროსებთან მუშაობა.
- აუხსენით, რამდენად მნიშვნელოვანია ბავშვებისათვის ის, რომ მათ პატივს სცემდნენ.
- ურჩიეთ, თავი აარიდოს ისეთი სტერეოტიპების გამოყენებას,

რომლებიც ბავშვებს საცოდავებად წარმოაჩენენ (გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც ბავშვების ასე წარმოაჩენა გამართლებულია).

- სთხოვეთ, ხელოვნური, არაბუნებრივი პოზა არ მიაღებინოს ბავშვებს ფოტოსურათზე ალბექდვისას.
- აუხსენით, რომ ფოტოსურათების დამატებითი ეგზემპლარები დაგჭირდებათ ბავშვებისათვის გასაგზავნად.

შეზღუდული ბიუჯეტის პირობებში დამატებითი ეგზემპლარების დამზადება ძვირადღირებული სიამოვნებაა. ამიტომ სთხოვეთ ფოტოგრაფს, ფოტოაპარატში ფერადი ფირი ჩადოს, რომელსაც სადმე კიოსკში გაამჟღავნებთ და არა ფოტოლაბორატორიაში. ამგვარად მონაწილეებს იაფ ფოტოსურათებს გაუგზავნით.

ფოტოგრაფს სჭირდება გარკვეული ჩვევები, რათა ბავშვებმა მასთან თავი თავისუფლად იგრძნონ. ქვემოთ მოცემულია გამოცდილი ფოტოგრაფის, დარბო მიტიდიერის რჩევები, რომელსაც ბევრი სურათი აქვს ინდოეთში გადაღებული:

- „უპირველეს ყოვლისა, ბავშვების მიმართ პატივისცემა და ყურადღება გამოხატეთ, უჩვენეთ, რომ გული შეგტკივათ მათზე.
- ეთამაშეთ ბავშვებს. ბავშვებთან მუშაობა დიდ სიამოვნებას მანიჭებს. მათთან რომ ვარ, მეც ბავშვად ვგრძნობ თავს, ისინი ამას ხედავენ და სწორედ ამიტომ იხსნებიან ასე იოლად ჩემთან. მათთან საუბარი თუ გსურთ, მუხლებზე ჩაიჩოქეთ, რათა მათ ზემოდან არ უყუროთ“.

ბავშვი არავითარ შემთხვევაში არ მოქრთამოთ, გვაფრთხილებს დარბო. როცა ფოტოგრაფს დრო არ ყოფნის, მას უჩნდება ცდუნება ბავშვის გული ფულით ან საჩუქრებით მოიგოს. მაგრამ ქუჩის ბავშვებიც კი სიამოვნებით შემოვლენ თქვენთან კონტაქტში, თუ მათ სწორად მოექცევით. აი, როგორ იგონებს დარბო ინდოეთში მათხოვარ ბავშვებთან მუშაობის გამოცდილებას: „შუქნიშანთან ბავშვები მანქანის ფანჯარასთან მოდიან და ფულს ითხოვენ. ფანჯარა ჩამოვნიე, გავუღიმე და გავესაუბრე, თუმცა ფული არც კი შემითავაზებია. ისინიც სიამოვნებით გამომელაპარაკნენ. თუ პირველი

შეხვედრისას მათ ასე მოექცევით, რამდენიმე დღის შემდეგ ისევ იქ თუ დაბრუნდებით, ისინი მაშინვე გიცნობენ. ამის შემდეგ კი მანქანიდან შეგიძლიათ გადმოხვიდეთ და ესაუბროთ.“

დარიოს აზრით, თუ ბავშვს არ სურს სურათი გადაუღონ, მის ნება-სურვილს პატივი უნდა სცეთ, მაგრამ ათიდან ცხრა ბავშვი, მასთან ურთიერთობის რამდენიმე საათის შემდეგ, აუცილებლად შეიცვლის აზრს და ფოტოს გადაღებაზე დაგთანხმდებათ. ბავშვების ნდობის მოპოვებას დრო სჭირდება. თუ დაინახეს, რომ თქვენი ნდობა შეიძლება და თქვენთან ურთიერთობა სასიამოვნოა, თქვენთან მუშაობასაც მოინდომებენ.

ფოტოგრაფისათვის ყველაზე რთული ბავშვებისაგან ან უფროსებისაგან ფოტოს გადაღების ნებართვის მიღებაა. გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევისა, როდესაც ფოტოგრაფი რამდენიმე დღე ერთ თემაზე მუშაობს, ის, როგორც წესი, ცდილობს ხელსაყრელი მომენტი არ დაკარგოს და ყველა და ყველაფერი „ცოცხლად“ გადაიღოს. აბა, სად არის იმის დრო, რომ გადაღება შეწყვიტო და ოფიციალური ნებართვის მოპოვებაზე იზრუნო. თანაც თუ სურათი ბუნებრივი არ არის, არც მიმზიდველია.

„ინდოეთში ნებართვის აღება არ მჭირდებოდა,“ ამბობს დარიო. „იქ ერთსა და იმავე ბავშვებთან რამდენიმე დღის განმავლობაში ვმუშაობდი და თუ ახალი ვინმე შემოგვიერთდებოდა და იკითხავდა, რა ხდებოდა, ჩემს მაგივრად ბავშვები პასუხობდნენ.“

რას აკეთებთ, როცა საქმე ისე არ მიდის, როგორც გინდათ? „რამდენჯერ შემინწყვეტია საქმე იმის გამო, რომ არაფერი გამოდიოდა. ზოგჯერ ბანდის უფროსის ბრძანებით ყველა ბავშვი ერთად მიმავტოვებდა ხოლმე. ასეთ დროს გადაღებას ვწყვეტდი და სხვა ბავშვებთან დაახლოებას ვცდილობდი. ანდა საქმეს მეორე დღეს ან ერთი კვირის შემდეგ ვუბრუნდებოდი.“

დარიო გვეუბნება, რომ პრობლემას, როგორც წესი, უფროსები ქმნიან და არა ბავშვები. უფროსებს მიაჩნიათ, რომ მათ ყველაფერში ცხვირის ჩაყოფის უფლება აქვთ.



## ინტერვიუს დასრულება

*„თუ ხელთ საინტერესო სიუჟეტი გქონდათ, ის  
წვალებად ღირდა.“*

*„როდესაც ბავშვები სახელს არ გვეუბნებიან, ისინი  
ბევრ რამეს გვიზიარებენ, ძალიან პირადულსაც კი.  
მათ არ სურთ, რომ ვინმემ იცოდეს მათი ვინაობა.“*

ინტერვიუ ორგანიზებულად, გეგმის შესაბამისად უნდა დაასრუ-  
ლოთ. ბავშვებს უთხარით, როდის ასრულებთ ინტერვიუს, რათა  
მათ აზრის გამოთქმა მოასწრონ. ნუ დატოვებთ ბავშვებს იმედგა-  
კრუებულებს.

ინტერვიუს ბოლოს გაარკვიეთ, რაიმე შეკითხვა ხომ არ აქვთ.  
უცხოეთში ბავშვები ცნობისმოყვარენი არიან, მათ აინტერესებთ,  
როგორ ცხოვრობენ ბავშვები სხვა ქვეყნებში. ისინი ხშირად გაბა-  
რებენ ხოლმე რაიმეს თქვენი ქვეყნის ბავშვებთან: „უთხარით ინგ-  
ლისელ ბავშვებს, რომ ჩვენთან ჩამოვიდნენ,“ გვთხოვენ ბავშვებმა  
კალკულაში. „ჩვენთან მხოლოდ უფროსები ჩამოდიან, ბავშვები კი  
- არა.“

კიდევ ერთხელ კითხეთ ბავშვებს, რაიმეს ამოლება ხომ არ სურთ  
ინტერვიუდან. შეიძლება ბავშვები მხოლოდ ინტერვიუს ბოლოს  
მიხვდნენ, რომ სკოლისა და ოჯახის შესახებ ნათქვამი მათი სი-  
ტყვეები გულს ატკენს ან რაიმე პრობლემებს შეუქმნის მათთვის  
საყვარელ ადამიანებს. მთავარი ის კი არ არის, რამდენად კარგი  
და საინტერესო გამოვიდა თქვენი სიუჟეტი, არამედ ის, რომ ბავშ-  
ვები საფრთხეში არ ჩააგდოთ. შესთავაზეთ სახელის შეცვლა ან  
დეტალების გადასხვაფერება (ბავშვმა გადანყვეტილება თვითონ  
მიიღოს). იცოდეთ, რომ ბავშვის სურვილის საწინააღმდეგოდ მა-  
სალის გამოქვეყნების არავითარი მორალური უფლება არ გაქვთ.

ინტერვიუში ბავშვები ისეთ რამეზე საუბრობენ, რაზეც ადრე  
არავისთან უსაუბრიათ. ეს დიდი გამოცდაა მათთვის. ინტერვიუს

ბოლოს შეიძლება ძალიან აღელვებულნი იყვნენ. მიეცით დამშვიდების დრო. კარგი იქნება, თუ თქვენი წასვლის შემდეგ ბავშვებთან უფროსი ადამიანი დარჩება, რომელმაც იცის, რას შეეხებოდა ინტერვიუ, რა განცდები დაეუფლათ ბავშვებს და მათ აგზნებული მდგომარეობიდან გამოსვლაში დაეხმარება.

თუ ბავშვს ამგვარი მდგომარეობიდან გამოსვლაში ვერ დაეხმარებით, თუ დრო ცოტა გაქვთ, ძალიან პირადულ და ემოციურ საკითხებს ნუ შეეხებით, პრაქტიკული და ფაქტობრივი საკითხებით დაკმაყოფილდით.

### **რას მიიღებენ ბავშვები?**

მოიფიქრეთ, სანაცვლოდ რას პირდებით ბავშვებს, არა საჩუქრის, არამედ რაღაც უფრო მნიშვნელოვანის სახით. თუ ინტერვიუ წარმატებულად ჩატარდა, მან კმაყოფილება უნდა აგრძნობინოს როგორც ბავშვს, ისე შურნალისტს.

- ბავშვები გულახდილად საუბრობენ, თუ იმას გეუბნებიან, რისი მოსმენაც თქვენ გასურთ?
- მოსწონთ ინტერვიუს აღების პროცესი?
- რაიმე ახალს გებულობენ?
- შეგიძლიათ ისინი ახალი ცოდნით, ინტერესებით, გამოცდილებით გაამდიდროთ? ლაპარაკიც არ უნდა იყოს საჩუქრებზე და პრიზებზე.

ინტერვიუს საფუძველზე შექმნილი პროდუქცია ბავშვებსაც მინოდეთ, იქნება ეს გამოქვეყნებული სტატია, ჩანაწერი, ფოტოსურათი თუ სხვა რამ. ბავშვებს უყვართ ამგვარი მასალის სახლში ან სკოლაში გამოფენა. ოღონდ ისეთ რამეს ნუ დაპირდებით, რასაც ვერ შეუსრულებთ.

## უკუკავშირი

თქვენთვის ძალიან სასარგებლო იქნება, თუ ბავშვებს გამოკითხავთ, რას გრძნობდნენ ისინი ინტერვიუს დროს, რა შეგეძლოთ გაგეკეთებინათ, რათა მათ თავი უფრო თავისუფლად ეგრძნოთ. თუ რაიმეს გაგიკრიტიკებენ, თავის მართლებას ნუ შეეცდებით, უბრალოდ ჩაინიშნეთ, მომავალში გამოგადგებათ. როგორც წესი, ბავშვები გულწრფელები არიან, ამიტომაც მათი შენიშვნები განსაკუთრებით ფასეულია.

## ბასსოვდით:

### აუცილებლად

- მოუსმინეთ
- თანატოლივით მოეპყარით ბავშვებს
- სერიოზულად აღიქვით მათი სიტყვები
- დასვით ღია შეკითხვები
- აიღეთ მათი ნამდვილი სახელისა და გვარის გამოყენების ნებართვა
- მიეცით საკმარისი დრო, ნუ ააჩქარებთ
- აუხსენით, რა მიზნით იღებთ ინტერვიუს.

## ნურასდროს

- ნუ გამოამყლავნებთ ბავშვებისადმი მფარველობით დამოკიდებულებას
- ნუ დაიკავებთ სივრცეში ისეთ პოზიციას, რომ ბავშვს ზემოდან დაყურებდეთ
- ნუ მოახვევთ თავს თქვენს აზრს

- ნუ მისცემთ სხვებს ამის უფლებას
- ნუ გააწყვეტინებთ
- ნუ ილაპარაკებთ თქვენს თავზე ძალიან ბევრს (გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს თვით ბავშვებს სურთ)
- ნუ გააგრძელებთ ინტერვიუს, თუ ბავშვს ეს არ სიამოვნებს. შეისვენეთ, შემდეგ კითხეთ, სურს თუ არა ინტერვიუს გაგრძელება.

## ინტარვიუს შედეგ

ინტერვიუს დამთავრებით ბავშვებთან მუშაობა არ სრულდება. უნდა გავიგოთ და ვიცოდეთ, რა ზეგავლენა მოახდინა ინტერვიუს გამოქვეყნებამ ბავშვზე. ეს ზეგავლენა უფრო ძლიერი შეიძლება აღმოჩნდეს, ვიდრე მოელოდით.

## შეტყობინება

თუ შესაძლებელია, ბავშვებს უნდა შეატყობინოთ, როდის გამოქვეყნდება მასალა. ნუ დაპირდებით ისეთ რამეს, რისი შესრულებაც არ შეგიძლიათ. თუ არ იცით, რა ბედი ეწევა თქვენს მასალას, ბავშვს ამას ნუ დაუმაღავთ.

## პროგრამის მომზადება

თუ არის ამის შესაძლებლობა, ბავშვებსაც მიაღებინეთ მონაწილეობა პროგრამის მომზადებაში. შეიძლება მონახაზი უჩვენოთ და აზრი კითხოთ.

თუ ბავშვები სრულად შეგიძლიათ ჩართოთ ამ პროცესში, ეს თქვენთვის სასარგებლო იქნება. როდესაც მასალის შეგროვების შემდეგ წერას იწყებთ, შეიძლება ბავშვის თვალთახედვა აღარ ჩანდეს და მას მოზრდილი ადამიანის თვალთახედვა შეენაცვლოს. ზოგჯერ ეს ამართლებს, მაგრამ თუ ბავშვის მიერ დანახული სინამდვილე გსურთ აღწეროთ, მასალის მომზადების პროცესში მისი აქტიური მონაწილეობა პროდუქტიულია.

## ასლის გაგზავნა

ბავშვებს უყვართ მედიასთან ურთიერთობა. არ დაგავინწყდეთ მათთვის ასლების გაგზავნა, რადგან ჟურნალ-გაზეთებსა და რადიო-ტელევიზიაზე მათ შეიძლება ხელი არ მიუწვდებოდეთ.

თუ შესაძლებელია, სურათებიც გაუგზავნეთ. ბავშვებს უყვართ სურათების შინ თუ სკოლაში გამოფენა. მაგრამ თუ სურათზე ბევრი ბავშვია აღბეჭდილი, ყველა ბავშვს ნუ დაპირდებით სურათის გაგზავნას. ნურასდროს შეპირდებით ბავშვებს ისეთ რამეს, რისი შესრულებაც თქვენზე არ არის დამოკიდებული.

კარგი იქნება, თუ თქვენთან და მასმედიასთან ურთიერთობა შემდგომში ბავშვთა საუბრების საინტერესო თემად იქცევა. ინტერვიუს აღების მიზანი ისიც არის, რომ მასში წამოჭრილი პრობლემები საზოგადოებამ გაანალიზოს. ამ პრობლემების განხილვა სკოლაში, გაკვეთილებზეც უნდა ხდებოდეს.

## შეფასება

თუ ინტერვიუ დიქტოფონზე ჩაინერეთ, მისი ხელახლა მოსმენისას შეგიძლიათ სუსტი წერტილები დააფიქსიროთ, რაც შემდგომ მუშაობაში დაგეხმარებათ. ჩანანერის ანალიზისას ჩანს, რა გამოინვია იმან, რომ ბავშვს საუბარი შეაწყვეტინეთ, ან იმან, რომ ისეთი კითხვა დასვით, რომლის შინაარსიც ბავშვისთვის გაუგებარი იყო. ასევე ჩანს, თუ როდის პასუხობს ბავშვი ადვილად. თუ ჩანანერის ანალიზის ჩვევას გამოიმუშავებთ და ბავშვთან მუშაობას შეაფასებთ ხოლმე იმ მხრივ, თუ რამდენად შეაძლებინეთ მას აზრის სრულად გამოხატვა, საშუალება გექნებათ თვალი მიადევნოთ თქვენი მუშაობის სტილის დახვეწას.

## რას ფიქრობენ ბავშვები?

როდესაც ამის შესაძლებლობა არსებობს (ზოგჯერ მაინც), კითხვით ბავშვებს, რომელთაგანაც ინტერვიუ აიღეთ, რას ფიქრობენ ისინი გამოქვეყნებულ მასალაზე. ბევრ კითხვას ნუ დაუსვამთ. მიეცით საშუალება თვითონ ილაპარაკონ, თქვენ კი მოუსმინეთ. ნახალისეთ, თავისუფლად ილაპარაკონ იმაზე, რა მოეწონათ და რა - არა. თუ მათ აზრის გამოთქმის საშუალებას მისცემთ, ბევრ საინტერესო რამეს გაიგებთ.

## ბავშვის მიმართ პასუხისმგებლობა

*„როცა გავიზრდები, ჟურნალისტი გამოვალ. გაზეთში მუშაობას დავინყებ, მერე კი ტელევიზიაში გადავალ. მეც მინდა ბავშვებისაგან ინტერვიუ ავიღო, ვეცდები გავიხსენო, ბავშვობაში ინტერვიუს ალებსას რას ვგრძნობდი. ბავშვებთან საუბრის დროს ყოველთვის მათ ადგილას წარმოვიდგენ თავს.“*

*„რადიოში ჩვენი პროგრამების მომზადება რომ დავინყეთ, ძალიან ვლელავდით. გვეგონა, საქვეყნოდ გავითქვამდით სახელს, მაგრამ შევცდით.“*

ჟურნალისტებს დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ. ეს პასუხისმგებლობა ბავშვებთან მუშაობის დროს ორმაგდება, რადგან ისინი უფრო მგრძობიარენი, დაუცველნი და ემოციურები არიან. ყველა მოზრდილების გულის მოგებას ცდილობს, ბავშვები კი ნაკლებად აღელვებთ. თქვენ ბევრი რამის შეცვლა შეგიძლიათ, ცვლილებათა შედეგად კი ყველა მხარე მოიგებს.

- **ბავშვებისათვის მასმედიის ხელმისაწვდომობა**

ბავშვები თავიანთ აზრს მასმედიის საშუალებით მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოხატავენ, თუ ჟურნალისტები მათ ამის საშუალებას აძლევენ.

- **ბავშვების ადეკვატურად წარმოჩენა**

თუ ბავშვებმა ნახეს, რომ ისინი მასმედიაში არაადეკვატურად არიან წარმოჩენილნი, მასმედიის მიმართ მათი ნდობა სუსტდება.

- **ბავშვების ექსპლუატაცია დაუშვებელია**

ინტერვიუს ალების დროს ბავშვით მანიპულირება იოლია, რადგან ის ალგზნებულია. ზოგჯერ ჟურნალისტს ჰგონია, რომ ძვირფასი მასალა მოიპოვა, სინამდვილეში კი ბავშვს გულს წყვეტს, იმედს უცრუებს, ხოლო ჟურნალისტურ სტანდარტებს აკნინებს. ჟურან-

ლისტებმა არ უნდა გამოსძალონ ბავშვებს მათთვის საზიანო ინფორმაცია.

## **პატივი ვცეთ ბავშვების პირად ცხოვრებას**

ბავშვებს ისეთივე უფლებები აქვთ, როგორც უფროსებს, ზოგჯერ უფრო მეტიც. თუ ბავშვს ინტერვიუს მოცემა არ სურს, პატივი ეცით მის გადაწყვეტილებას, ნურც მშობლებს მისცემთ იმის უფლებას, რომ ბავშვს ინტერვიუ იძულებით მოაწყვიტონ.

- **რა შედეგი შეიძლება მოყვეს თქვენს სამუშაოს**

გაითვალისწინეთ, რა შედეგი შეიძლება მოყვეს ინტერვიუს. თქვენი წასვლის შემდეგ ბავშვი საფრთხის წინაშე მარტო არ უნდა აღმოჩნდეს. მასთან ერთად უფროსი ადამიანი უნდა იყოს, რომლის მხარდაჭერის იმედიც ექნება.

- **სანიმუშო მოდელი**

მასმედიას ბავშვებზე დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. თქვენთან ურთიერთობის შემდეგ ბევრი ინყებს ჟურნალისტობაზე ოცნებას. თქვენ ძლიერ გავლენას ახდენთ მათზე, ამიტომ ეცადეთ დადებითი სანიმუშო მოდელი შეუქმნათ.



## დამატებითი ლიტერატურა

1. პ. ალდერსონი. *მოვუსმინოთ ბავშვებს: ბავშვი, ეთიკა და სოციალური კვლევა*, Barnardo's, 1995.
2. მ. გ. ფლეკოი. *ხმა ბავშვისა: ბავშვთა ომბუდსმენი*. Jessica Kingsley Publishers, ლონდონი, გაერთიანებული სამეფო.
3. კ. ჰენბერი, ს. მაკკრამი. *ჩვენ რადიოში ვართ* (ტექსტი და აუდიოფირი)
1. როგორ ჩავართოთ ბავშვები რადიოს მუშაობაში **ჯანმრთელობის დაცვის საკითხების გასაშუქებლად**. The Child to Child Trust, სასწავლო სამუშაოები იაფად PO Box 49, შტ. Albans, Herts 14X, გაერთიანებული სამეფო.
4. რ. ა. ჰარტი. *ბავშვების მონაწილეობა: ინტეგრაციიდან მოქალაქეობამდე*.
2. ბავშვთა მონაწილეობის შესახებ უხვი მაგალითების მოშველიებით. UNICEF, International Development Centre, Piazza S.S. Annunziata 12, 50122 ფლორენცია, იტალია.
5. ე. ლეირდი. *მე და ჩემი ელექტრო. . .* უნარშეზღუდულ ბავშვთა მოთხოვნების კრებული. მოამზადეს ნამყვანმა მწერლებმა. Mammoth and Save the Children, 1998.
6. ნ. რიჩმანი. ბავშვებთან ურთიერთობა. გამოადგება ყველას, ვინც გაჭირვებაში ჩავარდნილ ბავშვებთან მუშაობს. Save the Children.
7. *უჩინარი ბავშვები: კონფერენციის ჩვილდრენ, Images and Disability* მასალები, 1995 წლის მარტი. Save the Children.

## ბაიროს ბავშვის უფლებათა კონვენცია

ქვემოთ მოცემულია ციტატები ბავშვის უფლებათა კონვენციიდან, რომლებიც ეხმარება მასმედიის საქმიანობას და ბავშვისაგან ინტერვიუს აღებას. კონვენციის სრული ვერსია შეგიძლიათ მიიღოთ იუნისეფის ოფისებში.

### ოფიციალური ტექსტი

#### მუხლი 2

1. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ და უზრუნველყოფენ მათი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი თითოეული ბავშვის ყველა უფლებას, რომელიც წინამდებარე კონვენციითაა გათვალისწინებული, ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის გარეშე, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, ბავშვის, მისი მშობლებისა და კანონიერი მეურვეების ჯანმრთელობისა და დაბადების მდგომარეობის ან სხვა რამ ვითარების განუჩივლად.

### არაოფიციალური ტექსტი

#### დისკრიმინაციის დაუშვებლობა

კონვენციით გათვალისწინებული უფლებები თანაბრად ეხება ყველა ბავშვს ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე. სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ბავშვი დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმისაგან და მიიღოს ყველა ზომა მისი უფლებების დასაცავად.

2. მონაწილე სახელმწიფოები ყოველგვარ აუცილებელ ზომას ღებულობენ დისკრიმინაციის ყველა იმ ფორმისა და სასჯელისაგან ბავშვის დაცვის უზრუნველსაყოფად, რომელიც უკავშირდება ბავშვის, ბავშვის მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ოჯახის სხვა წევრთა სტატუსს, საქმიანობას, მათ მიერ გამოთქმულ შეხედულებებს და მათ გამჟღავნებულ მრწამსს.

### **მუხლი 3**

1. ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი, - სახელმწიფო თუ კერძო დანესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები - უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას.

### **ბავშვის ქეშმარიტი ინტერესები**

ბავშვის მიმართ ნებისმიერი ქმედების განხორციელებისას სრულად უნდა იქნეს გათვალისწინებული ბავშვის ქეშმარიტი ინტერესები. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ბავშვის შესაბამისი დაცვა და მისი ქეშმარიტი ინტერესების რეალიზება, თუ ბავშვის მშობლები ან ის პირები, რომელთაც მისი დაცვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ, არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

## მუხლი 12

1. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარის მქონე ბავშვის უფლებას, თავისუფლად გამოთქვას თავისი შეხედულებები ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას ეხება, ამასთან, ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება ეთმობა მისი ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად.

## მუხლი 13

1. ბავშვს უფლება აქვს თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი; ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას, საზღვრების არსებობის მიუხედავად მოიძიოს, მიიღოს ან გადასცეს ნებისმიერი სახის ინფორმაცია ან იდეა ზეპირი, წერილობითი თუ ბეჭდური ფორმით, ბავშვის არჩევანისამებრ.

2. ამ უფლების განხორციელება, შესაძლოა, ერთგვარად შეიზღუდოს, მაგრამ ეს შეზღუდვა კანონით გათვალისწინებული და აუცილებელი უნდა იყოს:

ა) სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის პატივისცემისათვის;

ბ) სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი წესრიგის, ან მოსახლეობის ჯანმრთელობის ან ზნეობის დაცვისათვის.

## ბავშვის შეხედულებები

ბავშვს უფლება აქვს თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი და შეხედულებები ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას ეხება. ამასთან, ამ შეხედულებებს ანგარიში უნდა გაენიოს ბავშვის ბედთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის გადანწყვეტისას.

## აზრის თავისუფლად გამოხატვა

ბავშვს უფლება აქვს გამოხატოს თავისი აზრი, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს ხელყოფს სხვის უფლებას.

### მუხლი 14

1. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ბავშვის აზრის, სინდისის და რელიგიური რწმენის თავისუფლებას.

2. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ მშობელთა და შესაბამის შემთხვევაში კანონიერ მეურვეთა უფლებებსა და მოვალეობებს, უხელმძღვანელონ ბავშვს მისი უფლებების იმ მეთოდით განხორციელებაში, რომელიც შეესატყვისება ბავშვის განვითარებად უნარებს.

3. რელიგიური აღმსარებლობის ან რწმენის თავისუფლება შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ იმ შეზღუდვებს, რომლებიც დადგენილია კანონით და აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ზნეობისა და ჯანმრთელობის ან სხვა პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების დაცვისათვის.

### აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება

*სახელმწიფო ვალდებულია პატივი სცეს ბავშვის უფლებას, სარგებლობდეს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებით, მშობლების მხრიდან შესაბამისი ხელმძღვანელობის გათვალისწინებით.*

**მუხლი 16**

1. არც ერთი ბავშვი არ შეიძლება იყოს პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის ან კორესპონდენციის საიდუმლოების უფლებათა მის მიერ განხორციელებაში თვითნებური ან უკანონო ჩარევის, ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფის ობიექტი.

2. ბავშვს უფლება აქვს, კანონით იყოს დაცული მსგავსი ჩარევის ან ხელყოფისაგან.

**მუხლი 17**

მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მნიშვნელოვან როლს და უზრუნველყოფენ ბავშვისათვის სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო წყაროებით გავრცელებული ინფორმაციისა და მასალების მისანვდომობას, განსაკუთრებით ისეთი ინფორმაციისა და მასალებისა, რომლებიც მიმართულია ბავშვის სოციალური, სულიერი და მორალური კეთილდღეობისაკენ, აგრეთვე ჯანსაღი ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების ხელშეწყობისაკენ. ამ მიზნით მონაწილე სახელმწიფოები -

**პირადი ცხოვრების დაცვა**

ბავშვს აქვს უფლება დაცული იყოს პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის ან კორესპონდენციის საიდუმლოების უფლებათა მის მიერ განხორციელებაში თვითნებური ან უკანონო ჩარევის, ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფისაგან.

**ინფორმაციის მისანვდომობა**

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ბავშვისათვის ეროვნული და საერთაშორისო წყაროებით გავრცელებული ინფორმაციისა და მასალების მისანვდომობა, ნაახალისოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიერ იმ ინფორმაციისა და მასალების გავრცელება, რომელიც სასარგებლოა ბავშვის სოციალური და კულტურული განვითარების თვალსაზრისით, და მიიღოს ზომები იმ სახის ინფორმაციისაგან ბავშვის დასაცავად, რომელიც საზიანოა მისი კეთილდღეობისათვის.

ა) ახდენენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით იმ ინფორმაციისა და მასალების გავრცელების წახალისებას, რომელიც სასარგებლოა ბავშვის სოციალური და კულტურული განვითარების თვალსაზრისით და გამოხატავს 29-ე მუხლის (განათლების მიზნები) სულისკვეთებას;

ბ) ახდენენ საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისებას სხვადასხვა კულტურული, ეროვნული და საერთაშორისო წყაროებიდან მოპოვებული ამგვარი ინფორმაციისა და მასალების მომზადების, გაცვლისა და გავრცელების მიზნით;

გ) ახდენენ საბავშვო ლიტერატურის გამოცემისა და გავრცელების წახალისებას;

დ) ახდენენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წახალისებას, რათა მათ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ იმ ბავშვის ენობრივ მოთხოვნილებებს, რომელიც მიეკუთვნება რომელიმე უმცირესობის ჯგუფს ან მკვიდრ მოსახლეობას;

ე) ახდენენ იმ სახის ინფორმაციისა და მასალებისაგან ბავშვის დაცვის სათანადო პრინციპების შემუშავების წახალისებას, რომელიც საზიანოა მისი კეთილდღეობისათვის, მე-13 და მე-18 (მშობელთა პასუხისმგებლობა) მუხლების დებულებათა გათვალისწინებით.

## პრესის მუშაკთა პროფესიული კოდექსი

ამ კოდექსში მოცემულია გაერთიანებული სამეფოს პრესის მუშაკთა სტანდარტები. კერძოდ, მე-6 მუხლში ნათქვამია:

- (II) ჟურნალისტს 16 წელზე ნაკლები ასაკის ბავშვებისთვის ფოტოს გადაღების ან მათგან ინტერვიუს აღების უფლება არ აქვს მშობლების ან სხვა პასუხისმგებელი მოზრდილი ადამიანების თანდასწრების ან მათგან თანხმობის მიღების გარეშე, განსაკუთრებით მაშინ, თუ საკითხი ბავშვების კეთილდღეობას ეხება.
- (III) სკოლაში, მისი ხელმძღვანელობის ნებართვის გარეშე, აკრძალულია მოსწავლესთან მიახლოება ან მისთვის სურათის გადაღება.
- (IV) არასრულწლოვანი ბავშვების შესახებ მიღებული ინფორმაციის რაიმე ფორმით ანაზღაურება ბავშვისათვის, მისი მშობლების ან მეურვეებისათვის გაუმართლებელია, თუ ეს უშუალოდ ბავშვის საკეთილდღეოდ არ კეთდება.
- (V) თუ გამოსაქვეყნებელი მასალა ბავშვის პირად ცხოვრებას ეხება, იგი გამყარებული უნდა იყოს გარკვეული ფაქტობრივი მონაცემებით, მაგრამ არა მშობლების ან მეურვის სახელის და თანამდებობის დაფიქსირებით, მათ რეპუტაციაზე აპელირებით.



